ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეკემბერი 1901

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		83.
I	წინა სიტყვაობა—აკაკისა	3
II	ვირი ლექსი—აკაკისა	4
III	სამაგიერო (ამბავი)—თ. რაზიკაშვილისა	8
IV	წარღვნა (ოვიდიუსიდან)—ა. უუმისთავგელისა	13
V	შერყეული თომა მოთხრობა—ნ. წ—სა	17
VI	მტრედის და კატის მეგობრობა (რუსულიდან)	22
VII	ლედი ჯენ, მოთხრობა, გაგრძელება—ელ. წერეთლისა	24
VIII	მამაი (რუსულიდან)	39
IX	მცენარე და მისი ცხოვრება—ი. გომართელისა	41
X	წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები და შარადები	49
XI	სარჩევი	53
XII	განცხადებები	60



ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ულანო!..
ი. დ.

№ XII

წელიწადი მეთოლამეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 | Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1901

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Декабря 1901 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ.-ნო რედაქტორო! *)

ერთმა ევროპიელმა ბრძენმა თქვა: „ბავშვებს ის არ არგებს, რაც დიდებსაც არ აწყენსო“. და ეს ჭეშმარიტება სწორეთ ზედ გამოჭრილია თქვენს „ჯეჯილზე“. მაგრამ საძწუხარო ის არის, რომ, თურმე, მაგ ჩინებულ საყმაწვილო ჟურნალს გამომწერლები ბევრი არა ჰყავს. ეს ან ქართველური დაუდევრობის ბრალი უნდა იყოს, ან გულ-გრილობის, და ორივე შემთხვევაში კარგი ნიშანი ვერ არის დღევანდელი ჩვენი მდგომარეობის!—ის ოჯახი, რომელსაც სიღარიბე ხელს არ უშლის და სადაც ამგვარი ჟურნალ-წიგნაკები არ მოიპოვება, ქართულ ოჯახათ სახსენებელი აღარ არის!.. გამოცდილებით ვიცი, რომ საზოგადოთ ქართულ წიგნებს მკითხველები უფრო დაბალი წოდებიდან მეტი ჰყავს და რომ სიღარიბე ხელს არ უშლიდეს მათ, მსურველები ერთი ასათ მეტი გამოჩნდებოდენ. შეძლებულ ქართველების მოვალეობაა, რომ, თვითონ თუ არ კითხულობენ, იმათ მაინც მიაწოდონ ხოლმე ეს სულ იერი საზრდო და მათი მადლი მოისხან. მეც ჩემის მხრით, რადგანაც იმ ღარიბების დახმარება მატერიალურათ არ შემიძლია, გადავწყვიტე, რომ ყოველი ნომრისათვის, მოგაწოდოთ ხოლმე მცირე რამ ჩემი სუსტი კალმის ნაწარმოები, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ექვსი ეოთად „ჯეჯილისა“ უსასყიდლოთ გაეგზავნოს ხოლმე ხელმოკლე მსურველებს.

თქვენი ჟურნალი „ჯეჯილის“
წარმატების მოსურნე

აკაკი.

*) იმედია ეკვდა ქართული რედაქციები გ'დაბეჭდენ ამ წერილს.

129

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ი რ ი.

როდესაც გაჩნდა ამ ქვეყნად
ოველი სული სულ-დგმული,
ვირიც შიგ გამოერია,
მაგრამ სწყდებოდა კი გული,

—

რომ ტანათ ჰატარა იყო...
ძლივს ეტყობოდა მიწასა;
სიხარბე ჭალავდა სხვებისა
და შეეშვედრა ზეცასა:

—

„რა დავაშავე გამჩენო,
რომ ასე დაჩაგრული ვარ?
და თაგვის ოდნა ტანადათ,
სიდიდის მონატრული ვარ?

—

ვერ მაჯობებდა ვერც ლომი,
რომ ვეოფილიყავ იმსელა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ვგრძნობ, მაგრამ ახლა კი
არ შემიძლია გაშლა.

—

რომ გაშადიდო ხბოს ოდნათ,
არ შეგიძლია ეს განა?
მაშინ ჩემს ვინაობასაც
თვალით ნახავდა ქვეყანა".

—

გულ-მხურვალებით მათხოვარს,
უსმინა ღმერთმა ვედრება
და იმა დღიდან სიდიდით
ვირიც მოზდილ ხბოს ედრება.

—

რომ გაიზარდა იამა,
სთქვა: აწ-კი რადა მიჭირსო:
ეურებიცა მაქვს — ხმაც დიდი,
მოვმართავ ქამანჩა სტვირსო.

—

აეროეინა «ეურან-ბოხი»,
გადააწვდინა მთა და ბარს
და უცნაური ზარის ხმა
სცემდა მიდამოს შიშის ზარს.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰირუტუვებმა სთქვეს: «ეჰეჰე!
სულ სხვა ეოფილა ვირიო!..
მარტო სმასედაც ეტეობა,
რომ არის გმირთა—გმირიო!

—

რქებიან-ბრჭყალებიანი,
კბილ-ბასრი და ტორ-დიდაო!..
მეფეთ რომ დავსვათ შეჰფერის!..
სხვა ვინმე რაღათ ვეინდაო?»

—

ამან ესა სთქვა, იმან—ის,
გახურდა მითქმა და მოთქმა
და იმ ერთ ხანათ «დიდობის»
მას დაუვარდა კიდეც სმა!..

—

მაგრამ ბოლოს დროს, როდესაც
ახლოს გაიცნეს ის ვირი
მოულოდნელათ შეკრთენ და
გაოცდენ!.. გააღეს ჰირი!!

—

სად იეო რქები?!.. ბრჭყალები?!..
ძლივს კბილებს აკრიჭინებდა!..
ანანტურებდა ეურებს და
კუდის—რიკს აქიცინებდა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ კი მიხვდენ, რაც იყო
ის ვმირი თავის-თავათა!..
და საანდაზოთ გაჭხადეს!..
ზედ კურტნით, წულის მზიდავათა.

—

ზოგი კაცია, შორიდან
თვალსა გვჭრის და თავს გვაწონებს,
მაგრამ ახლოს-კი ისიც ვირს,
საანდაზოსა, გვაგონებს.

ეკაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ

(ნამდვილი ამბავი)

ს, შე რჯულ-ძაღლო ევავო, შენა! კიდევ ხელ-ცარიელი არ დამსვა ამ გასატიელებელმა! თუ არ ამოგაშხამო და ვანუა ნულარ ვიყო! თუ შეგარჩინო ჩემი ეველისა და ჰურის ჰარვა, მაშ რაღა ბიჭი ვყოფილვარ. ვანა შენც მე უნდა ამიგდო მასხარათა?!

გაშეოთებული ვანუა ჭრიჭინაშვილი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყურთხებოდა და იგინებოდა.

კაი ხანია, რაც ის აქ სიმინდს თოხნიდა. მარტოხელი იყო და სულ მარტოთ-მარტო დაიარებოდა სოფლის ბოლოს სიმინდის სათოხნავათ.

სოფელ ეკარელს სიმინდები და ეანები კარგა მოშორებით აქვს. დილით, როცა მარტოხელა მუშა სამუშაოთ მიდის, თუ-კი რამ აბადია, თავისი სადილ-სამსრის სამსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისი თან მიაქვს ხელსახოცით და თანაც ლიტრით წყალი, რომ სახლში რბენა აღარ მოუნდეს მოღალულ-მოქანცულს!

ჰურს მაღლა ჰკიდებს, რომ არაფერმა დასუნთქოს, წლიან ლიტრას ჰირში ბალახს უკობს და ან ჩრდილში სდგამს, თუ არის სადმე, თუ არ არის და ზევიდან ფარაჯას აფარებს.

— ვერ უეურებთ, კაცო, ამ ვერანა ევავს, რას მიშვრება!? გამოეხმაურა ვანუ თავის მეზობელს, რომელიც იქვე შორიახლოს თოხნიდა.

— ლაბის შიმშილით მომკლას მაგ ევავმა. გუშინ იყო ხელსახოციდან მთელი ჰური ამოელო და წაელო. იმ დღეს იყო და ეველი მქონდა,— აი ჩვენებმა შავლებს უაჯზე გამოართვეს, ისეთი ვიეავ ძლივ შევცქეროდი, საშხრობას სულწასული მოველოდი ეველითა და ჰურით ეელს გავიგემრიელებ-მეთქი, მაგრამ, შენი მტერი დარჩეს ისე ხელცარიელი, როგორც მე ხახამშრალი დავრჩი. ხელსახოცში შეხვეული მუსაზე შევდე, ორჯელ იყო ჩანასკული, მაგრამ მაინც კიდევ ამოელო და მაშინ-ღა შევასწარ თვალი, როცა თავზე გადამიარა. მუშტის ოდენა ეველი ნისკარტით ეჭირა და მიაქროლებდა ბუდისკენ. თვალი თან გავაყოლე იმ ვერანას.

დაიცა, ევავო, შენთვისაც მოვიცლი!

ევავმა თავისი არ დაიშალა: ხან უსაუზმოთ დასტოვა, ხან უსამხროთ გაუშვა და ხან სამხრის-სამხარი შეუჭამა.

* * *

— ადამიანო, არ მეტყვი, რა ვუყო იმ ვერანა ევავსა? ეკითხებოდა ერთ სალამოს სამუშაოდან დაბრუნებული ვანუა თავის ცოლს. ალარ ვიცი, სადღა-რა შევინახო, ველარა გადავარჩინე-რა, მაშინვე მიაგნებს და ისე არ იქს, ერთი ნაჭერი მაინც არა წაიღოს-რა.

— რაღას ელი, კაცო, ი ოხრათ დასარჩენი ბუდე ხო იცი, სადაც უოხრია, ადი და ჩამოუშალე, წავა და გაგეცლება.

ეს ხომ ვანუამაც იცოდა, მაგრამ ისეთი ოინი უნდოდა ექნა ევავისთვის, რომ სამუდამოთ იმისი ჯავრი ამოეარა და გული მოეფხანა. ბუდეს ჩამოვუშლი, სხვას აიშენებს, კვერცხებს დავუმტვრევ,—სხვას დასდებს. არა, სხვა რამე უნდა მოუხერხო!

— ჰო, მართლა! წამოიუვირა ვანუამ, ეველას ის ეჯობინება, სწორეთ აგრე უნდა ვუყო. რა კარგი იქნება და!

მეორე დღეს ვანუამ თან ჰატარა ქვაბი და წუმწუმა წაიღო. ევავის ბუდე შიგ კაკლის წვეროკინაში იყო.

მერე ბუდისთვის ისეთი წვრილი ტოტი იყო არჩეული, რომ თუ არ ძალიან გულადი და თანაც მსუბუქი კაცი, იმაზე ასვლას ადვილათ ვერავინ გაბედავდა, რადგან ტოტი ადვილათ მოტეხებოდა და იქიდან ჩამოვარდნილ კაცს მიწამდე სული ალარ დაჰყვებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვანუა ისე იყო გაბრაზებული ყვავზე, რომ ტოტის სიწვრილე არც-კი შეუმჩნევია. მერე ყვარელელი კაცი! მთელი წელიწადი კოდალასავით ხეს აკვრია; ჭიკოს ჭკავავს მუხაზე, რცხილაზე, იფნაზე, ლავანასა ჭერის, კვერნას ეძებს და ფუტკარს გამოჭრის ხოლმე. ხელიც შეჩვეული აქვს ხისათვის და თვალიც.

ვანუა ბევრს ეწვალა კაკალზე ასვლაში. გაწოწლოკინებული ტოტი ლერწამივით იდრიკებოდა და იკაკვებოდა. ხან იქით მიეხეთქებოდა ვანუა, ხან აქეთ; ხან ერთ ტოტს წაავლებდა ხელს და ხან მეორეს, თან ოდნავ ადგამდა ფეხს და სულ-გასუნთქული მიცოცავდა, რომ მთელი თავისი სიმძიმით არ დასწოლოდა ხეს და არ მოეტეხა.

რის ვაი-ვაგლახით ავიდა ბუდემდე. ბუდეში ოთხი თუ ხუთი შავი ჭორფლიანი კვერცხები ეწყო. ეტყობოდა, რომ ყვავი კრუხათ იჯდა. სანამ ვანუა ბუდემდე ავიდოდა, ყვავი არხეინათ იჯდა ახლო კაკალზე და დაცინვით გადმოცქეროდა ვანუას.

— რას ეწვალები, ამბობდა გულში ყვავი, ბევრიც რო ეცადო, შენ ჩემ ბუდესთან ვერ ასვალ. არც მაგრეთი სულელი ვარ, რომ ჰირში ჩაგივარდე.

მაგრამ რამდენიც ვანუა ბუდეს უახლოვდებოდა, ყვავი როგორღაც სწუხდა, ტოკავდა, მოუსვენრობა ეტყობოდა. როცა ბუდესთან ავიდა, გულ-გახეთქილი ყვავი აფრინდა და ჩხავილით დაუწყო თავზე ტრიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანუამ ფრთხილათ ამოაწყო ევავის კვერცხები ბუდიდან, რბილათ ჩაილაგა უბეში და კატასავით ჩამოკოკდა ხიდან.--ახლა მე ვიცი, ევავო! დაუმუქრა ევავს.

ვანუამ სახქაროთ დაანთო ცეცხლი. ჩააწყო ევავის კვერცხები ქვაბში და ცეცხლზე შედგა. წყალი როცა ადუღდა, კვერცხებმა, თითქო სიცხე იგრძნესო, თამაშობა დაიწყეს.

იდგა ვანუა და სიამოვნებით იღიმებოდა.

— შენა ხარ, ევავო, მაგრამ არც-კი ნაკლები ბიჭი მე გასლავარ. დაიცა, ამ მოხარშულ კვერცხებს ისევ მანდვე მოგართმევ, არ გეგონოს, ვითომ საჭმელათ მინდოდეს შენი მურალი ვვერცხები,—დაჯექ და გამოჩიკე. მაშინ ბატის ჭუჭულებს და ინდოურის ჭუკებს მოგვტაცებ, არა?!

კარგა ხანს იჯდა ვანუას მტერი ევავი მოხარშულ კვერცხებზე. კარგა ხანს ელოდა ბარტყების გამოჩეკას, მაგრამ ტუილათ. მეტის-მეტი ჯდომით თვალები ამოუცივდა, ფრთებმა ცვინა დაუწყო

ვანუაც შორიდან შეცქეროდა ხოლმე იმის საცოდაობას. ის დღე იყო და ის დღე. ვანუასთვის საშხარ-სადილის ჰური ალარავის მოუპარავს, რადგან გაბეზავებული ევავი სადღაც გადიკარგა, მოშორდა იმ არე-მარეს.

თ. რაზიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარღვნა.

(ოვიდიუსი)

ლლიანთა ღმერთების მამათ მთავრის, ზევსის, ყურამდის მიაღწია ხმამ, რომ ქვეყნათ, ხალხთა შორის, მეტათ გავრცელდა უკანონობა და, ერთი სიტყვით, ყოველგვარი უწესოებაო. ზევსი მეტათ შეაწუხა ამ დიალამც სამწუხარო ამბავმა და მან უმალვე გადაწყვიტა თვითონვე შეემოწმებინა, რამდენათ სამართლიანი იყო ეს ხმა. ღმერთების მამათ მთავარი დაიძრა ზეციდან. სამწუხაროთ ზევსმა უფრო მეტი უწესოება იხილა ქვეყნათ, სანამ ამის შესახებ ზეცას ხმები მიდიოდა. საცა კი ღმერთების მამათ მთავარი არ მივიდა, ყველგან დიდი უწესოება და უკანონობა ჰპოვა. ერთ საღამოს ზევსი მიბრძანდა არკადიაში, მეფე ლიკაონის სასახლეში და მისვლისთანავე თავისი ღვთაებრივი მადლი მოიღო. ხალხმა ამის გამო ლოცვით და კურთხევით თაყვანი სცა კაცის სახით მოვლენილ ღმერთს. მეფე ლიკაონი მეტათ განრისხდა ხალხის ამ გვარი პატივისცემის გამოცხადებით. მეფემ გადასწყვიტა ძილში მოეკლა თავისი სტუმარი, მაგრამ, სანამ ამ სასტიკ ზომას მიიღებდა, ზევსის გამოცდა მოისურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა, რათა დარწმუნებულიყო, მართლა ღმერთია იგი, თუ უბრალო მომაკვდავიო. მეფეს სასახლეში ჰყვანდა ერთი მონა ლიკაონმა ბრძანება გასცა დაუყონებლივ გამოეჭრათ ყელი ამ მონასათვის, მოეხარშათ იგი, და ზევსისათვის მიერთმიათ, აბა გამოიცნობს ღმერთების მამათ მთავარი ამ საჭმელს თუ არაო. ზევსი მეტათ შეაწუხა ამ საზიზღარმა ამბავმა და ლიკაონის დასასჯელათ მეფის სასახლეს მოუელინა თავ-ზარ დამცემი ქუხილი, რომელმაც ყველაფერი ერთიანათ გაანადგურა. გადარჩა მხოლოთ ერთათ ერთი სასახლის პატრონი მეფე ლიკაონი, მაგრამ ვაი ამ გადარჩენას, იგი ამ დღიდან „კაცურად“ ვერ ლაპარაკობს, არამედ ღმუის მგელ საით, სახე ეცვალა, ხელებმა და ფეხებმა სულ სხვა შეხედულება მიიღეს ერთი სიტყვით, მეფე ლიკაონმა მგელის სახე მიიღო.

ზევსი დაბრუნდა ზეცას და დაუყონებლივ ღმერთებთა კრება დანიშნა. ღმერთები შეიკრიბენ ზევსის მარმარილოს ქვით მოფენილ სასახლეში და ირგელივ მწყობრათ ჩამოსხდენ. გამობრძანდა თვით ზევსიც შეწუხებულის სახით, ოთხჯერ მძლავრი თავი ქვემოთ ჩაიქნია, და შემდეგ ასე განუმარტა კრებას განსახილველი საგანი: „მე არასოდეს ისე არა მშინებია ჩემი სამეფოსო, როგორც ახლა. მიმოვევლე მთელი სამეფო კიდითი-კიდემდე, მაგრამ გარდა საშიშარ უკანონობის და საზიზღრობის მეტი ვერა ვპოვე-რა. ამიტომ გადავწყვიტე მთელი კაცობრიობა ამოვწყვიტოო!“ როცა ამასთანავე ზევსმა ღმერთებს უამბო მეფე ლიკაონის ისტორია, ყველანი შიშის ზარმა აიტანა, და ერთ ხმათ მოუწონეს ყოვლათ შემძლებელ ზევსს მთელი კაცობრიობის დასჯის განზრახვა. ხოლო ზოგიერთებმა შიში გამოაცხადეს, როცა დედამიწის ზურგზე ხალხი ამოწყდება, ღმერთებს მსხვერპლს ვინ შესწირავს, ვინ უკმევს მათ საკმეველსო!.. ზევსმა ანუგეშა ღმერთები, ამ მხრით შიში არ მოგველის; დედამიწას უფრო ღვთის მოყვარე ხალხით გავაშენებო. ღმერთები დაკმაყოფილდენ ამ განმარტებით და მთელი კაცობრიობის წარღვნით დასჯა ერთ ხმათ დააკანონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველათ შემძლე ზეგზის ბრძანებით ოთხივე მხრით ამოვარდა მძლავრი ქარი, ცა შავი ღრუბლებით ერთიანათ შეიმოსა; ჭექა, ქუხილი დედამიწას ჯოჯოხეთათ ხდიდა; მდინარეები გადიდდენ, და ნაპირებიდან გადმოსვლას მოუთმენლათ მოელოდენ; ზღვისა და ოკეანეს გამხეცებული ზვირთები ცის სიერცის სიმაღლეზე ერთმანერთს შეუბრალებლათ ეჯახებოდენ და დედამიწას წალეკას უქადიდდენ. შიშისაგან სულ-განაბული ხალხი არსაიდან შველას არ მოელოდა და გაშტერებით შეჰყურებდა სტიქიონის გამხეცებულ ვარჯიშობას. ერთი წამიც და დედამიწა წყლის ზვირთებით უნდა წალეკილიყო. მართლაც, დაბერა თუ არა ცოტათი უფრო მძლავრმა ქარმა, ცის სიერცემდის ამართული ზღვისა და ოკეანეს გამხეცებული ზვირთები დედამიწას ელექტრონივით მოედო. ხალხი მთის წვერვალებისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ შეუბრალებელი წყლის ზვირთები მთის მაღლობზედაც მუსრს ავლებდა ყველაფერს. გაქრა ყველაფერი იქ, საცა ამ ერთი თუ ორი წუთის წინეთ სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა.

ამას შემდეგ ზეესმა გასცა ბრძანება წყლის ზვირთები თავის ადგილას მოთავსებულიყო. როცა დედამიწის ზურგიდან წყალი აიკრიფა, პარნასის მთის მაღალ წვერვალზე გაირიყა პატარა ნავი, რომელშიაც უვნებლათ გადარჩენილიყვენ ღვთის მოყვარე დევკალიონი და კეთილმსახური მეუღლე მისი პირრა. აი, ორათ ორი სულიერი არსება, რომელიც მოიპოვებოდა წარღვნის შემდეგ დედამიწის ზურგზე.

დევკალიონი და პირრა გადმოსხდენ ნავიდან და, როცა დედამიწა დაცარიელებული დაინახეს, როცა ქვეყნათ არ რის ხმა, არ რის ძახილი არ ისმოდა, თვალები ცრემლებით აევსოთ და ობლათ დარჩენილი დიდხანს, დიდხანს გულ-ამოსკვნით ქვითინებდენ.

— „ჩემო საყვარელო დაო და მეუღლე!“ ცრემლიანის თვალებით შეეხმაურა დევკალიონი თავის საყვარელ მეუღლეს პირრას: „მთელ დედამიწის ზურგზე, მზის ამოსავლის და ჩასავლის სიერცე-

ზე, შენ ერთათ-ერთო დიაცო, შენ ერთათ-ერთო მეუღლეო! დედამიწის ზურგზე არ მოიპოება არც ერთი სულიერი, ჩვენს გარდა, ყველანი წყლის შეუბრალებელმა ზვირთებმა შთანთქეს. ჩვენც კიდევ რა მოგველის, ვინ იცის!.. თვითოეული ღრუბლის ნაწყვეტი თავზე შიშის ზარს მგვრის, სულს მიხუთავს, გონებას მიხშობს. კიდევაც რომ უენებლათ გადავრჩეთ, ჩვენი სიცოცხლე რა სიცოცხლე უნდა იქმნეს, ამ ვებერთელა დაცარიელებულ ქვეყანაზე ჩვენ მარტონი რას მოვიმოქმედებთ, რისი გაკეთება შეგვიძლია!.. ასე მწუხარებით, ცრემლების ღვრით, ითვალისწინებდენ თავის უმწეო მდგომარეობას ქვეყნათ მარტოთ-მარტო დარჩენილი დევკალიონი და პირრა.

ბოლოს დევკალიონმა და პირრამ გადასწყვიტეს მიემართათ დელფიის სალოცავისათვის, საცა თემიდა ღმერთი მკვიდრს ოდესმე მომავალს ამცნებდა. მართლაც, დიდის ძებნის შემდეგ, კეთილმსახურმა ცოლ-ქმარმა მოსძებნეს დელფიის სალოცველოს ნანგრევები და გულმოდგინეთ შეეეედრენ უფალსა: „გვამცნე, მოწყალეო თემიდავ, როგორ და რა საშუალებით დავაღწიოთ მარტოობას თავი, რა საშუალებით შესაძლოა გავაშენოთ დაცარიელებული ქვეყანა!“

თემიდამ ამნაირი, ნახევრათ გაუგებარი, პასუხი მისცა უკეთილმსახურე მეუღლეთ: „დიდი დედისა ძვალნი გადისროლენით თავსა ზედა თქვენსა!..“ დევკალიონი და პირრა დიდხანს უხმოთ ერთ და იმავე ადგილას იდგენ და გაკვირვებით ჰფიქრობდენ, რას მოასწავებდა თემიდას ამგვარი სიტყვები. დიდის ფიქრის და განსჯის შემდეგ, დევკალიონმა ამნაირათ განმარტა თემიდას წინასწარმეტყველება: „დიდი დედა—დედამიწაო, ხოლო ძვლები კი—დედამიწაში ჩაფლული ქვები უნდა იყოსო. უკეთილმაახურე მეუღლეთ მოეწონათ ეს განმარტება და საქმით ამის შემოწმება მოისურვეს. მართლაც დევკალიონი და პირრა ჩავიდენ ერთ დაბალ ხეობაში და შეუდგენ ქვების თავ-ზევით უკან გადასროლას.

დახე საკვირველებას!.. დევკალიონის მიერ უკან გადასროლილი ქვები მამაკაცებათ გარდიქცენ, პირრას მიერ გადასროლილი-კი—დედაკაცებათ. ამნაირათ წარღვნისაგან დაცარიელებული დედამიწა სულ მოკლე ხანში გაშენდა, და ადამიანმა განახლებულ ქვეყანაში განახლებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი.

ს. უუმისთაველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერეული თოვა

ატარაობას დედა ჩემს ხშირათ მივ-ყავდი სოფელში და სოფლის გო-გო-ბიჭებისთვის ჩემი იქ მისვლა სწორეთ ალდგომა იყო. მართალია ეს სოტბო დედა ჩემს თვალით არ ეჩვენებოდა, რადგან იმას ეშინო-და, რომ იმ ჯუჯეანებს ცუდი გავლენა არა ჰქონოდათ ჩემ-ზე, მაგრამ ჩვენ ერთი ადგილი გვქონდა დანიშნული, ვენა-ხის ბოლოს, სადაც ვგროვდებოდით სწორეთ იმ დროს, როდესაც დედა ჩემი დილაობით გართული იყო საოჯახო საქმეებში და ან როდესაც ბურის ჭამის შემდეგ მოისვენებდა. იმდროს ყოველთვის გავიბარებოდი ხოლმე ჩემ მეგობრებთან და მივიტანდი ქალაქიდან წამოღებულ ახალ სათამაშოებს: სა-მხარეულოს ავეჯულობას, ორთქლის მატარებელს და სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და-სხვა ცხოველებს; ბავშები დიდის სიამოვნებით შეხვდენ ხოლმე და ასე ვთამაშობდით ერთათ. როცა ველა ეს მოგვბეზრდებოდა მაშინ სოფლურ დროს გატარებას მოვეკებოდით: ხან წავიდოდით ტყეში მარწყვზე, ხან მაყვალზე და ხან სოკოზე.

ჩემ მოხუცებულ გადიას მე ისე ვუყვარდი, რომ რაც უნდა დაგლეჯილი და გაწუწული მოვსულიყავი სახლში დედა ჩემს არ ატყობინებდა, ამას გარდა, რადგან სხვაფრივ დამჯერო ბავში ვიყავ, არც მიშლიდენ თამაშობას.

ჩვენ სოფლის განაპირას ერთი ობოლი ბიჭი ცხოვრობდა—სახელათ თომა, რომელიც არ გვეკარებოდა და არ უნდოდა ჩვენთან თამაში. ნახვითაც-კი ძნელათ ნახავდა მას ვინმე. ყოველთვის მინდორში, ყვავილებში დაღონებული იჯდა ხოლმე, ტანი შიშველი ჰქონდა და მუდამ ცახცახებდა. შორიდან დაგვინახავდა თუ არა სწრაფათ მიიმალებოდა ბალახებში. საბრალო თომას ძალიან ეშინოდა ყველასი და ყველაფრისა, მეტადრე სოფლის ბიჭებს ერიდებოდა, რადგან ისინი აჯავრებდენ და აწვალებდენ.

ერთხელ-ორჯელ ჩემ გადიას ჩამოვუგდე სიტყვა საბრალო თომაზე და ამის მეტი ჰასუხი ვერ მივიღე: შერეკილია თომა, შერეკილი! ნუ მიეკარები იმ უბედურ ბავშს! ღმერთი მასზე განრისხებულია!

ამ სიტყვებმა უფრო გამოიწვიეს ჩემში ცნობის-მოყვარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ბიჭებმა დაძიძახეს:—უეურე, უეურე! თოვსა ჩიტის კვერცხები მოუპარავს და უმსა ჭამსო!

ერთხელაც მე ფეხ-აკრეფით, ჩუმათ მივეპარე, თოვამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამინახა თუ არა ერთი გადისარხარა და სწრაფათ გაიქცა.

ზოგჯერ ზამთარში, როდესაც თომა ვერც ხილს შოულობდა და ვერც ფრინველებს, რომლებსაც ხშირათ ბუმბლიანათ უმს ჭამდა, სოფელს ჩამოუვლიდა მოწყალების სათხოვნელათ, ხელს უშვერდა ყველას და იმანჭებოდა.

ერთხელ ვენახის ბოლოს რომ შეერილი ვიყავით ერთმა სოფლის ბიჭმა თქვა: უყურეთ, თომა მოწყალებას თხოულობს, მოდი ვუნახოთ თოფრაკში რა მოაგროვაო.

და ყველა ისე ერთათ გაიქცა თომასაკენ, რომ მეც ძალა უნებურათ გავყევი ჩემ მეგობრებს.

საბრალომ დაგვინახა თუ არა, რომ კიჟინით მივდიოდით მისკენ შიშით უფრო აკანკალდა და სწრაფათ მოჰკურცხლა, მაგრამ რაკი შეამჩნია რომ თავის დანებებას არ ვაპირებთ—თოფრაკი ძირს დაგდო და ხის კენწეროზე აცოცდა. ჩვენ ერთათ მივცვივდით და კიჟინით ვარხევდით ხეს, თითქოს გვინდოდა მისი იქიდან ჩამოგდება. საბრალო თომას ისე შეეშინდა, რომ დაიწყო ზმუკუნი. მის გაშლარ და გაფითრებულ სახეზე ისეთი მწუხარება გამოისატა, რომ მე თვალებზე ცრემლები მომადგა.

ჩემ აშხანაგებსაც ყველას შეებრალა ეს უბედური ყმაწვილი და ერთმა წამოიძახა:

— დავანებოთ მაგას თავი! აბა ერთი ვუნახოთ ამ თოფრაკში რა აქვს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ გამსმარი, დაობებული შავი ჰურის ნაჭრები ეწყო.

— მოდი საჭმელი მოვუგროვოთ მაგ საცოდავს! თითქო მოსანანებლათ თქვა სწორეთ იმ ემაწვილმა, რომელმაც ჰირველათ ასტეხა ეს აბბავი.

— მე ტკბილ კვერს მოვუტან, თქვა ერთმა.

— მე ბებიას კვერცხებს გამოვართმევ!

— მე თეთრ ჰურს ვუშოვი, იმახდა მესამე.

და ეველა გაიქცა თავ-თავიანთ ქოხებში.

მე-კი თვალებზე ცრემლებ-მორეული გამტერებით შევცქეროდი თომას.

ემაწვილები მალე დაბრუნდენ, თომას თოფრაგში ჩაულაგეს ეველაფერი და დაუწეს ნუგეშის ცემა.

მაგრამ საბრალო ისევ ისე შიშით გამოიუურებოდა, ცახცახებდა და ზმუკუნებდა.

მე ველარ გავუძელ, გული ამიდუღდა და ტირილით გავიქეცი სახლში, რომ ჩემი გადიასთვის მეამბნა ეველაფერი:

— მართლა რომ შესაბრალისია საბრალო თომა, თქვა გადიამ, დიდიც ვერ გავუძლებდა მაგ უბედურებას, რაც მაგას მოუვიდა. თავის უგუნურობით მაგ ბავშმა ცეცხლს თივა დააყარა და სანამ სოფელი საშველათ მოვიდოდა მთელი ოჯახი ამოიწვა, თვითონ თავის საუბედუროთ დაწვას გადარჩა, მაგრამ მასუკან აგრე შერეულია.

ის იყო და ის ამ დღიდან საბრალო თომას ალარავინ არც აწვალებდა და არც აჯავრებდა. ჰირ-იქით ეოველთვის მივიდოდი სოფელში თუ არა ვცდილობდი დაეკავებით და ალერსით მიმექცია მისი ეურადღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრედის და კატის მეგობრობა.

ტრედმა ბუდე საბძლის თავზე გაიკეთა, საცა აუარება თაგვები ცხოვრობდენ. თუმცა მტრედს ამ ადგილას ხეირი არ დაეურებოდა, მაგრამ მაინც სხვაგან არ უნდოდა თავის ბუდის ჩადგმა.

ამ ჰატარა ცხოველებმა მტრედს დიდათ თავი მოაბეზრეს: ხან კვერცხებს უტეხდენ, ხან თან მიჰქონდათ, სოგჯერ ბარტყებსაც არ უყენებდენ.

საბძლის თავზე დაბინავდა კატაც. ის აჰირებდა აქ კნუტების დაურას და მათ გამოზრდას. ჩვეულებრივ კატები ფრინველებს იჭერენ და ჭამენ, მაგრამ ეს კატა-კი მტრედს ძალიან დაუმეგობრდა. როდესაც კატას მოუტანდენ საჭმელს მტრედიც იმასთან ერთათ ერთი თეფშიდან (საინიდან) ჭამდა და როდესაც კატა სასეირნოთ გამოვიდოდა მტრედი თავს ევლებოდა იმის ნიშნათ, რომ დიდ სიამოვნებას გრძნობდა თავის ოთხ-ფეხი მეგობრის გვერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალ აქეთ რაც კატა საბძლის თავზე დაბინავდა თავგვ-ბიც კვლავანდელივით ველარ იბარავდენ მტრედის კვერცხებს, და ფენიც ამოიკვეთეს, რადგან კატა ფსიზლათ იყო და ბუ-დის ახლოს არ უშვებდა. თაგვებმა ირჩიეს საზრდოს საშოვნელათ სხვაგან შორს წასვლა. კატის მფარველობამ გამოიწვია იმასა და მტრედს შორის უფრო დიდი მეგობრობა.

მტრედი კატას იმითი უხდიდა მადლობას, რომ კნუტებს, როცა დედა მოშორდებოდა, ეურს უგდებდა, როგორც კი ვინმე ამათ მიუახლოვდებოდა მტრედი დაეცემოდა თავზე, ფრთებით სცემდა, ნისკარტით კორტნიდა და შეუბოვარს მტერს დაიფრენდა ხოლმე.

(რუსულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლედი ჯენ.

(ჯიმისონის მოთხრობა)

XXII

ვერცხლის ყუთი.

ეორე დილას ქოზენი ადრე გამოვიდა თავისი სახლის აივანზე და დაფიქრებით ჩამოჯდა სკამზე. სახე მთლათ გაჰყვითლებოდა, თვალები ჩავარდნოდა... წამ-და-უწუმ სასოწარკვეთილებით იმეორებდა, ღმერთო! ვინ წარმოიდგენდა! ვინ წარმოიდგენდა, რომ ედრასტი ასე მოექცეოდა თავის საკუთარ დედასო!

ფიქრებმა ისე გაიტაცეს, რომ სულ დაავიწყდა მალაზიაც, მყიდველებიც. .

— ავათ ხომ არა ხართ? —თანაგრძნობით ჰკითხა ერთმა მეზობელმა, რომელმაც მისი აივნის წინ ჩაიარა.

— ცოტათი... და მეშინია, მართლა ავათ არ გავხდე!—მიუგო ქოზენმა.—ჩემი შვილის წასვლამ ძალიან შემაწუხა! აიტეხა ტეხასში უნდა წავიდე, ბიძასთანო... და კიდეც წავიდა წუხელი. მე-კი უიმისოთ არ ვიცი, როგორ გავძლებ... იქნება, მეც უკან გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც პეპსიმ ჰკითხა ლედი ჯენს, რა დაემართა ქოზენსო, ბავშვმაც ისე უპასუხა, როგორც სახლში ასწავლეს, დეიდა პოლინას თავი ტკივა და რასტის ბიძასთან წასვლით არის შეწუხებულიო.

ჯერ ისევ ადრე იყო, რომ ქოზენის კარებს კარგათ ჩაცმული უცნობი ქალი მიადგა. ქოზენი ნაძალადევი სიამოვნებით მიეგება სტუმარს და ღიმილით შეიპატიჟა სახლში.

— საიდან გაჩნდით ჩვენ კუთხეში, ქალბატონო ქურდან?—ჰკითხა მან, როდესაც სტუმარი სკამზე ჩამოჯდა.

— კარგი ამბის მოსახარებლათ მოვედი!—მიუგო ქალმა.—ფული მოგიტანეთ. გუშინ გავყიდე ის ვერცხლის ყუთი, რომელიც თქვენ მომანდვეთ...

— ნუ თუ?—სიხარულით წამოიძახა ქოზენმა.—ოჰ, რა კარგია ეგ ჩემი პატარა ჯენისათვის!

— წარმოიდგინეთ, 25 დოლლარი ავიღე!—განაგრძო სტუმარმა.—მართლაც, კარგი რამ იყო, ვერცხლის, და ისე ხელოვნურათ გაკეთებული!

— ჰო, ძვირფასი ნივთი იყო!—დაეთანხმა ქოზენიც.

— დაწერილებით უნდა ვიამბოთ იმ ყუთის გაყიდვის ამბავი!.. საკვირველი ამბავია! მოვიდა წუხელი ჩემთან ქალბატონი ლანიე, ხომ იცით, მდიდარი ბანკირის ცოლი, ის ყოველთვის ჩემთან ჰყიდულობს ყველაფერს... გადმოხტა ეტლიდან, შემოვიდა ჩემ მაღაზიაში და მიიხედ-მოიხედა, ათვალიერებდა, ახალი ხომ არა არის-რაო... უცებ ყუთი დაინახა, მთლათ გაფითრდა და აღელვებით მკითხა, საიდან გაქვსთ ეს ყუთიო. მეც ვუამბე. მაშინ აღარ მომეშვა, სულ გამომკითხა, ვინა ხართ, სიდაური ხართ, და როგორ ჩაიგდეთ ეს ყუთი ხელში... ამისი მე, რასაკვირველია, არა ვიცოდი-რა. ყუთი დიდი ყურადღებით დაათვალიერა და რამდენჯერმე გაიმეორა, ვერ გამიგია, აქ როგორ გაჩნდაო. თქვენი ადრესი, სახელი და გვარი ჩაიწერა...

სტუმარი შეუჩერებლათ ლაპარაკობდა, ქოზენი-კი ხან ყვითლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა, ხან წითლდებოდა... მაგრამ მაინც ყურადღებით უსმენდა ყოველ სიტყვას.

— ხომ არ უთქვამს, რათ გააკვირვა ასე იმ ყუთის ნახვამ?— ბოლოს ჰკითხა მან.

— როგორ არა! თქვა, ეს ყუთი ამ ათი წლის წინეთ მე ნიუ-იორკში, პანსიონში, ჩემ საუკეთესო მეგობარს ვაჩუქეო, ასოებიც მე თითონ გამოვაჭრევინე, ჯ. და ჩ.-ო.

— ნუ თუ სულ ასეთი ყუთი იყო!—გაფანტვით წაილაპარაკა ქოზენმა.

— მერე მკითხა, ხომ არ გაყიდითო... მეც ვიფიქრე, უთუოთ ფულს არ დაიშურებს-თქო, და 25 დოლლარი ეთხოვე.მაშინვე მომცა, ერთიც არ შემომვაჭრებია... ჩაიდვა ყუთი ჯიბეში, ხელ-ახლავ მკითხა თქვენი ადრესი და წავიდა. თუ დღეს არა—ხვალ უთუოთ გეწვევათ.

— რა გერგებათ ყუთის გაყიდვაში?—უეცრათ ჰკითხა ქოზენმა.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ? მე თქვენგან როგორ ავიღებ რასმე! მე ისეთი კმაყოფილი ვარ, რომ თქვენი ბავშისთვის რისამე გაკეთება შეეიძელი! უთუოთ ძვირათ გიჯდებათ მისი შენახვა, არა?

— ჰო, არც ძალიან ადვილია მისი პატრონობა,—ამოიოხრა ქოზენმა,—თუმცა საკუთარი შეძლება აქვს, მშობლებისგან დარჩა პატარა ადგილ-მამული, პრერიებში. ჩემი შვილი იქ წავიდა წუხელი... და მეც ვაპირებ, თუ არა უიმისოთ აქ რა გამაძლებინებს!

— რას ლაპარაკობთ?—წამოიძახა ქურდანმა.—ასე მშვენიერათ მოეწყვეთ აქ და ახლა წასვლას აპირებთ?

— უსათუოთ! ამ დღეებში!—მიუგო ქოზენმა.

— ჩემ გამოუთხოვრათ არ წახვიდეთ! მომეცით სიტყვა, რომ წასვლის წინეთ მნახავთ!—წამოდგა ქურდანი, გამოეთხოვა ქოზენს და თავის სახლისკენ გაეშურა.

მოიცილა თუ არა თავიდან სტუმარი, ქოზენი გაშტერებით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერდა შუა ოთახში... —ჩემთან მოსვლას აპირებს!—წაიბუტბუტა მან.—არა! არა! მე მისი ნახვა, მასთან ლაპარაკი არ შემიძლია! როგორ უნდა ავუხსნა, საიდან ვიშოვე ყუთი!—და ქოზენმა საჩქაროთ ჩაიცვა, გამოვიდა გარეთ, დაუძახა ჯენს, რომელიც, ჩვეულებრივათ, პეპსისთან იჯდა, საქმეებზე მივდივარ და შეიძლება დიდხანს დამაგვიანდესო—და წავიდა, თითონაც არ იცოდა სად და რისთვის.

ღამდებოდა, როდესაც ქოზენი საღლაც ქალაქის განაპირას, ერთ დიდ მაედანზე გამოვიდა, თავისი სახლისაგან ერთი ათი ვერსის სიშორეზე; მოედანზე მან დაინახა ორ ჯორ-შებმული დიდი, უბრალო ეტლი, რომელსაც ერთი ზანგი მოჰყვებოდა.

— შენა ხარ, პიტ? —შესძახა ქოზენმა ზანგს.

— მე გახლავარ, ქალბატონო პოლინა!—მხიარული ღიმილით მიუგო ზანგმა.

— შენ, როგორც გატყობ, მეეტლეთ გამხდარხარ?

— არა, ეს ეტლი ჩემი არ არის... მე მას ვქირაობ და ამით ვშოულობ ფულს.

— მეც სწორეთ შენისთანა კაცი მეჭირვება!—უთხრა ქოზენმა. —ამაღამ ჩემი ბარგი სხვაგან უნდა გადავიტანო.

— ამაღამ, ქალბატონო პოლინა?—გაკვირვებით ჰკითხა ზანგმა.—სად გაგონილა ღამე მუშაობა? ისიც შაბათს?

— შენ ჯერ ეს მითხარი, რას იღებ ბარგის გადატანაში?—შეაწყვეტინა ქოზენმა.

— ორ-ორ დოლლარს! ისიც იმ პირობით, თუ შორს არ არის საჭირო ბარგის წაღება! —მიუგო ზანგმა.

— მართალი რომ ვთქვა, შორს სიარული დაგჭირდება! მე „კეთილი ბავშვების“ ქუჩაში ვცხოვრობ!

— ოჰ, ქალბატონო პოლინა! ეს შეუძლებელია! ჯორები ძალიან დაღალულები არიან! შესძახა ზანგმა.

ქოზენი ერთ წამს შეფიქრდა, მერე გადაწყვეტით მიუბრუნდა ზანგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამიგონე, პიტ! — უთხრა მან. — უთუოთ არ დაგვიწყებია, რომ ერთ დროს ჩვენ ოჯახში მსახურობდი და იმ წარსულის გულისთვის ამისრულებ თხოვნას. ნურაფერს მკითხავ, ნურც ნურავის ეტყვი ჩემ ნათქვამს, მხოლოთ ყური დამიგდე. წაიყვანე ახლავე შენი ჯორები, კარგათ აჭამე და კარგათ მოასვენე, ათ საათზე-კი — ჩემთან მოდი. ყველაფერს თუ მომიწყობ და ბარგს ჩუმათ გადამიტან, ათ დოლლარს მოგცემ.

— ათ დოლლარს, ქალბატონო პოლინა? — აღტაცებით წამოიძახა ზანგმა. — კარგი, ძალიან კარგი ფულებია... მაგრამ გზაც გრძელი, ოჰ, რა გრძელია!

— მაგიერათ, დროც ბევრია ათ საათამდის! ერთი მომხმარე მოიყვანე. განის ქუჩაზე უნდა გაიჩერო ეტლი და იქ გადაიტანო ჩემი სახლიდან ბარგი... ყველაფერზე უფრო ყურადღება იმას უნდა მიაქციო, რომ ხმაურობა არა იქნეს-რა.

— მესმის, ქალბატონო პოლინა. ათ საათზე გეახლებით. მაშ ათ დოლლარს მიბოძებთ?

— როგორც გითხარი — ისე მოგცემ. ახლა-კი მშვიდობით! — და ქოზენი უკან გამობრუნდა.

შემდეგში ქოზენის მეზობლები ყველა ამბობდენ, იმ ღამეს ძალიან გლახათ გვეძინა, სულ რაღაც სიარული და ლაპარაკი გველანდებოდა... პეპსის-კი სულ ეჩვენებოდა, ქუჩაში კაცების ხმა ისმის და თითქო ლედი ჯენი მიძახისო.. დილას, ადრე, საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა... ძლივს დააძინა და მოასვენა გათენებისას დედამ აღელვებული პეპსი.

უძილობამ ისე შეაწუხა პეპსი, რომ მეორე დილას ის თითქმის სულ ავათმყოფი წამოდგა ლოგინიდან. ფერმკრთალი და მოწყენილი იჯდა ის თავის ჩვეულებრივ ადგილას, ფანჯარასთან, და მოუთმენლათ ელოდა, როდის გააღებდა მის პირ-და-პირ, დიდ სახლში, ქოზენი თავისი ოთახის ფანჯრებს.

მაგრამ, საკვირველი იყო! რვა საათი შესრულდა — დიდ სახლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში-კი ჯერ არაევინ ინძრეოდა! მერძეევ მოვიდა, მოვიდა მეპურე, მოვიდენ მყიდველებიც... ყველა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სახლის ზარს არაწკუნებდა, მაგრამ დიდ სახლში მაინც არავისი ხმა არ ისმოდა.

ბოლოს პეპსიმ ეველარ მოითმინა.

— თაგუნა, წადი და გაიგე, რა ამბავია რომ ამდენ ხანს არ დგებიან! —მიუბრუნდა ის პატარა ზანგის ქალს.

თაგუნა, რომელიც თითონაც ძალიან გაკვირვებული იყო უჩვეულო ამბით, შურდულივით გაჰქანდა ქოზენის სახლისაკენ. ჯერ სამზარეულოს კარებზე მიარახუნა რამდენჯერმე, მაგრამ, როცა პასუხი არავინ გასცა, შეფოთხდა, მაიმუნივით, ახლობელ ფანჯარაზე და იქიდან შეიხედა შიგნით ოთახებში.. ერთ წამს შემდეგ ის ისევ შურდულივით მოჰქროდა უკან, შეშინებული და გაყვითლებული.

— მის პიპ! მის პიპ!—სასოწარკვეთილებით ჰყვიროდა ის.— წასულან, სულ წასულან! ოთახებში აღარაფერი არ არის! მის ლედიც გამქრალა და ბებერი ქალიც!

ჯერ პეპსიმ ვერაფერი გაიგო თაგუნას სიტყვებიდან, მაგრამ მერე, როდესაც მიხვდა, რაშიაც იყო საქმე, უგრძნობლათ დაეცა თავის სავარძელზე... დიდხანს, დიდხანს ტიროდა და მწარეთ ქვითინებდა საწყალი პეპსი, და არავის ნუგეშს ყურადღებას არ აქცევდა.

მადელონმა მაშინვე პეშუსთან აფრინა თაგუნა. პეშუ და დეიდა მოდი იმ წამსვე მოვიდენ. პეშუ დატრიალდა, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგო იმის მეტი, რომ ქოზენს სახლის ფული სულ გადაეხადა და სახლის პატრონისთვის გასაღებიც-კი ჩაებარებინა, შვილისაგან წერილი მომივიდა და მასთან მივდივარო.

— ისეთი კარგათ მქონდა მოწყობილი საქმე! უსათუოთ გამოეტეხდი ქოზენს! — მწუხარებეთ იმეორებდა პეშუ. —ახლა-კი ყველაფერი ჩამეფუშა!

მთელ დღეს პეპსის ვერაფერი საქმე ვერ გაეკეთებინა და ის მოწყენილი, ჩაფიქრებული იჯდა უსაქმურათ ფანჯარასთან. უეცრათ მან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინახა, რომ მათ პირდაპირ, ქოზენის სახლის წინ, გაჩერდა მშვენიერი ეტლი, რომელშიაც მდიდრულათ მორთული, ლამაზი ახალგაზდა ქალი იჯდა. მსახური კარებს მიუახლოვდა და ზარი დააწკარუნა, მაგრამ, როცა დაინახა, რომ არავინ უღებდა, ახლო მაღაზიაში გაიქცა და იკითხა, აქ დგას თუ არა პოლინა ქოზენიო.

— აქ იდგა!—უპასუხა მემაღაზიემ.—მაგრამ ახლა სადღაც გადავიდა, სად—ჩვენც არ ვიცით. უთუოთ რამე უეცარი საქმე შეხვდა, რომ ჩვენ გამოუთხოვრათ წავიდა.

ლამაზმა ქალმა, როდესაც მსახურმა ყველა ეს უამბო, გაკვირვებით შეხედა სახლის დაკეტილ დარაბებს და მეეტლეს ეტლი უკან გააბრუნებინა.

მდიდრულათ ჩაცმული, ლამაზი ქალის მშვენიერი ეტლით მოსვლამ მთელი ის კუთხე აალაპარაკა.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მშვენიერი ახალგაზდა ქალი—ლედი ჯენის დედა იყო!—სასოწარკვეთილებით იმეორებდა პეპსი.—რა უბედურებაა, ღმერთო, რა უბედურებაა, რომ თავის შვილს დროზე ვერ მოუსწრო!—და საწყალი პეპსი ისევ დიდ ხანს ტიროდა და ქვითინებდა იმ დღეს.

XXIII

პატარა მოგზერალი.

ზობის წინა დღე იყო. ღამდებოდა. ქალბატონი ლანიე თავის მშვენიერ ეტლში იჯდა და წმინდა კარლოს ბულვარზე მიჰქროდა; უეცრათ, ერთ მოსახვევში, მან დაინახა პატარა ბავში, მოკლე თეთრ, ლამაზ, მაგრამ გასერილ კაბაში; ბავშს გრძელი შავი ჩულქები და პატარა ფეხსაცმელები მთლათ დაფხრეწილი ჰქონდა, მხრებზე ძველი შალი ეხურა, რომელიც, ეტყობოდა, კარგათ ვერ ათბობდა; გრძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ოქროსფერი თმა დაწნული და უკან დახვეული ჰქონდა, პატარა, ლამაზი სახე—გამხდარი და ფერმკრთალი; ამ სახეზე, ბავშის დიდ, ლურჯ თვალებში ისეთი განუსაზღვრელი ტანჯვა, ისეთი მწუხარება გამოიხატებოდა, რომ შეუძლებელი იყო, ვისმეს ბავშისთვის შეეხედნა და გული არ დაწვოდა მისი თანაგრძნობით.

ეტლმა შეუხვია.—საცოდავი ბავში!—გაიფიქრა ქალბატონმა ლანიემ.--რა მშვენიერი, რა კეთილშობილური შეხედულება აქვს! ნეტავი ეტლი გამეჩერებინა და სახელი მეკითხა!

პატარა, ჩამოძონკილი, ძველ შალში გახვეული ბავში—ლედი ჯენი იყო.

იმ საშინელ ღამეს აქეთ, ქოზენმა რომ გააღვიძა და საჩქაროთ წამოიყვანა—ის გონზე ვეღარ მოსულიყო; მაშინ ჯერ არ ეშორჩილებოდა ქოზენს, ტირილი დაიწყო, დაუწყო ძახილი თავის მეგობრებს, პეპსის, დიანას, ქერარს—მაგრამ ვერა გააწყო-რა! ქოზენმა შემოუძახა, ერთი კიდეც შემოარტყა და წამოიყვანა.

საშინელმა ჭექა-ქუხილმა, ორი ზანგის შავმა სახეებმა, ქოზენის ჩხუბმა—ყველა ამან ისე დააშინა პატარა ჯენი, რომ ერთი სიტყვის თქმაც ვეღარ მოახერხა.

იმ ღამეს ქოზენი გაცივდა და ავათ გახდა; ფეხები სულ დაეხუთა, ისე რომ სიარული აღარ შეეძლო და მთელი დღეებით ლოგინში იწვა. ფული, რომელიც ისეც ნაკლებათ ჰქონდა, მთლათ შემოეხარჯა, ისე რომ ცეცხლის დასანთები შეშაც ვეღარსად ეშოვა და შიმშილით კვდებოდა. სილარიბე უწინაც გამოეცადა, მაგრამ ასეთი უბედურება—ჯერ არ ენახა... ნაცნობებისთვის ვერ გაემხილა თავისი ბინა, რადგანაც ქალბატონი ლანიესი ეშინოდა, ისე რომ სულ უპატრონოთ, უსაშველოთ დარჩა ქვეყანაზე... შვილმა გაქურდა და გაეპარა... დედასაც სხვა არაფერი დარჩენოდა მის მეტი, რომ შიმშილით მომკვდარიყო.

პიტის დახმარებით მან გაყიდა ყველაფერი, რაც-კი რამ გააჩნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და.. სხვა რომ აღარაფერი ჰქონდა, ერთხელ, როცა ლეონ ჯენი სახლში არ იყო, მან ცისფერი ყანჩაც ერთ იტალიელს მიჰყიდა.

ცისფერი ყანჩა იყო ჯენის ერთათ ერთი ნუგეში და სიხარული, ერთათ ერთი მეგობარი, ერთათ ერთი არსება, რომელიც უწინდელ ბედნიერ დღეებს აგონებდა... როცა ბავში საღამოს სახლში დაბრუნდა და ტონი აღარ დახვდა—ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რომ ქოზენს კიდეც შეეშინდა. ამ დღეს შემდეგ ბავში დილიდან საღამომდის სულ ქუჩებში დაეხეტებოდა და თავის ძვირფას ტონის დაეძებდა.

ახლა ქოზენი ხშირათ თითონაც ჰგზავნიდა მას ქუჩებში სამღერლათ და სამათხოვროთ. „კეთილი ბავშების“ ქუჩიდან წამოსვლის მერე ქოზენი სულ აღარაფერ ყურადღებას აღარ აქცევდა ბავშს, თითქმის კიდეც შეიძულა ის... დარწმუნებული იყო, ყოველი ჩემი უბედურების და მწუხარების მიზეზი ეს დაწყეველილი ბავშიაო.

— არ გაბედო და არავის უთხრა, რომ შენ უწინ „კეთილი ბავშების“ ქუჩაში იდექი!— სასტიკათ უთხრა მან ჯენს, როცა პირველათ გაისტუმრა ის სამათხოვროთ.—არავისთან ახსენო არც პეპსის, არც მადელონის და არც სხვა იქ მცხოვრებლების სახელი, თუ არა ნახავ, რა საშინელი საქმე მოგვივა! არც შენი სახელი უთხრა ვისმეს და არც ჩვენი ბინა ასწავლო! სულ იმღერე, იმღერე და იმღერე, და ყველა გამვლელ-გამომვლელებს ფული თხოვე... ხან-და-ხან, თუ გინდა, იტირე, სიცილი-კი არ გაბედო!

ბავში, რომელსაც აღარაფრის თავი არ ჰქონდა იმ საშინელი, ჭექა-ქუხილიანი ღამის აქეთ, ყველაფერს უგონებდა ქოზენს, ყველაფერს, ერთის გარდა: ის არაოდეს არ ტიროდა გამვლელ-გამომვლელების დასანახათ. ის ნამეტანი ამაყი იყო, რომ თავისი მწუხარება ვისმესთვის ეჩვენებინა. მაგრამ უცრემლოთაც აუარებელი წვრილი ვერცხლის ფული ცვიოდა ბავშის ხელში, როცა ის ქუჩაში მღეროდა თავისი ნაზი, ვერცხლისავით წკრიალა ხმით... მისი მშვენიერი ხმა, ლამაზი, გამხდარი სახე, დაღონებული ლურჯი თვალები—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას ყურადღებას და ყველას თანაგრძნობას იწვევდა. ხშირათ ხა-
ღამოობით ის სახლში მთლათ გატენილი ქისით ბრუნდებოდა ხოლ-
მე... ქოზენი რომ არ დახარბებულიყო და ცისფერი ყანჩა არ გა-
ეყიდნა—კარგი მოგება ექნებოდა ბავშისაგან... მაგრამ ახლა, რო-
ცა ჯენს მისი ერთათ ერთი მეგობარი წაართაეს—ბავში აღარ მღე-
როდა ქუჩებში... როცა გამველელ-გამომველელები თხოვდენ, დაგ-
ვატკბე შენი ანგელოზის ხმითო—ის მხოლოთ ქვითინით უპასუხებ-
და ხოლმე...

დილიდანვე, გაცილდებოდა თუ არ თავის სახლს, საწყალი პა-
ტარა ლედი ჯენი თავისი ტონის ძებნას შეუდგებოდა... ის ყოველ
ეზოში, ყოველ ვიწრო ქუჩაში, ყოველ კუნჭულში შედიოდა და
ყველგან თავის ცისფერ მეგობარს ათვალიერებდა... საღამოობით,
როცა სახლში ცარიელი ქისით უნდა დაბრუნებულიყო—ის ქურ-
დულათ შეიპარებოდა ოთახში და ცდილობდა, ქოზენს თვალით არ
დანახვებოდა.

ერთ ცივ, სუსხიან დილას ქოზენმა ჩვეულებრივათ გამოუცხა-
და ლედი ჯენს, წადი ქუჩებში სამათხოვროთ და უფულოთ სახლ-
ში არ დაბრუნდეო. ბავში თავის თავს ძალიან გლახათ გრძნობდა.
და შეეეედრა ქოზენს, შეეეედრა პირველათ თავის სიცოცხლეში, სახლ-
ში დავრჩებიო.

— ასეთ სიცივეში მე სიმღერა არ შემიძლია!—აკანკალებული
ხმით არწმუნებდა ქოზენს პატარა ჯენი.—იმ ბავშებისაც მეშინია,
გუშინ რომ სულ ტალახით გამსვარეს. ასე მითხრეს, ხვალ აღარ
გაიარო ამ ქუჩაზე, თუ არა კიდევ უარესათ გაგსვრითო!

ამ სიტყვებმა, ბავშის გაუგონრობამ, ქოზენი მოთმინებიდან გა-
მოიყვანეს; ის, როგორც იყო, მიფორთხდა ბავშთან, სტაცა ორივე
ხელი მხრებში და გაბრაზებით ნჯღევა დაუწყო... მერე რაც ძალი
და ღონე ჰქონდა, სილა გაარტყა და კარებისკენ გააგდო...

— წადი, გასწი ახლავე!—გულმოსულათ დაუყვირა მან.—გასწი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვალით არ დამენახო, სანამ ბევრ ფულს არ მოაგროვებ!

ლედი ჯენმა პირველათ იგრძნო თავის თავზე, თუ რა იყო სილის გარტყმეა. ის ერთ წამს შეჩერდა, ცრემლები უცებ შეშრენ მის თვალებზე, მის პატარა, აღელვებულ სახეზე ზიზღი და გაკვირვება გამოიხატა; ერთ ხანს მან დაკვირვებით უყურა თავის მწვალებელს, მერე ხმა ამოუღებლათ მობრუნდა და ამაყათ, მედიდურათ გამოვიდა გარეთ, როგორც პატარა ხელმწიფის შვილი. ქუჩაში-კი, შურდულივით გაჭქანდა, ერთხელაც აღარ მოუხედნია იმ სახლისაკენ, სადაც იმდენი ტანჯვა და მწუხარება გამოიარა.

ცოტა ხანს შემდეგ ლედი ჯენმა გადუხვია ისეთ ქუჩაზე, რომელზედაც არაოდეს არ ყოფილიყო და სადაც არ ეშინოდა გუშინდელი ავი ბავშების შეხვედრის. საშინელი ქარი ჰქროდა, მზიანი დღე იყო, მაგრამ მაინც ციოდა, ყინავდა... ბავში გაეხვია თავის ძველ შალში და შეუდგა სირბილს უცრობ, გრძელ ქუჩებზე.

— თუ სულ ასე ვიარე, მივაგნებ, როდესაც იქნება, „კეთილი ბავშების“ ქუჩასაც! — ფიქრობდა ჯენი. — იქ ყველას გამოვკითხავ სადდგას პეპსი, ან ქალბატონი დიანა... მივალ იმათთან და ვთხოვ, რომ თავისთან მაცხოვრონ... დეიდა პოლინასთან-კი არაოდეს, არაოდეს აღარ დავბრუნდები!

რამდენისამე ხანს შემდეგ ლედი ჯენმა გადაუხვია ერთ განიერ, მშვენიერ ქუჩაზე, რომლის შუა გულზე დიდი ბულვარი იყო; ქუჩის იქით-აქეთ მხარეს მდიდრულათ მორთული, ძვირფასი სახლები ამართულიყვენ; პატარა და მშვენიერი, მორთული ბავშები მხიარულათ დაჭყვებოდენ თავის გამდლებს და დასეირნობდენ ბულვარში... ქუჩაზე ეტლები დაჭროდენ, ეტლებში სულ ლამაზი ქალები და კაცები იჯდენ, ყველა ერთი მეორეს ულიმოდა, ერთმანეთს თავს უკრავდენ, ლაპარაკობდენ, იცინოდენ... ყველა ისე მხიარულათ იყო, ისე ბედნიერები იყვენ სულ ყველა...

ლედი ჯენი ერთ განის სკამეიკაზე ჩამოჯდა და პეპსიზე ფიქრს შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, რა კარგი იქნებოდა, პეპსის რომ აქ სეირნობა შეეძლოს!—ფიქრობდა ის.—როგორ მოეწონებოდა ყველაფერი, რა ბედნიერათ იგრძნობდა თავს! რა გაეხარდებოდა, ახლა აქ რომ იჯდეს... მის წინ მშვენიერმა ეტლმა ჩამოიქროლოს... და ეტლში მე დამინახოს! მზეა... კარგი ჰაერი...

მაგრამ ამ დროს ისეთმა ცივმა ქარმა დაჰბერა, რომ ლედი ჯენი მთლათ აკანკალდა. მან გადირბინა ქუჩის მზიან მხარეზე და იქ მოიკრუნჩხა ერთი დიდი ტაძრის შესავალთან, მოიკეცა გაყინული ფეხები და ცდილობდა დაეფარა ისინი თავისი მოკლე, დახეული კაბით.

მის წინ ჩამოიარა რამდენიმე მორთულმა, მხიარულათ მოტიტინე ბავშმა.

— ხვალ შობაა!—აღტაცებით თქვა ერთმა მათგანმა.—ხვალ ბევრ, ბევრ საჩუქრებს დაგვირიგებენ! ნაძვის ხეც გვექნება!

ლედი ჯენის გულიც სიხარულით აძგერდა. ხვალ შობაა! და ის უთუოთ, უთუოთ იპოვის ხვალ პეპსის! პეპსი დაპირდა საშობოთ ნაძვის ხეს მოგვირთავო. რა საკვირველია, შეასრულებს თავის დაპირებას. ვინ იცის, იქნება ნაძვის ხე კიდეც მორთო და ახლა ელის თავის პატარა მეგობარს! ოჰ! ნეტავი ვინმე „კეთილი ბავშების“ ქუჩაში წაიყვანდეს! მაგრამ ვის ჰკითხოს, ვის თხოვოს! მერე რანაირათ დააშინა დეიდა პოლინამ, უცნობს არავის დაელაპარაკოო!

— იქნება ვინმე ნაცნობმა მიპოვოს და წამიყვანოს პეპსისთან!— ცოტა ხანს იქით ისევ თავს ინუგეშებდა პატარა ჯენი.— იქნება ჭერარი გამოჩნდეს სადმე... მაშინ აკი მიპოვა, ყველიერში რომ დავიკარგე! ახლა-კი არც დომინო მაცვია, არც მასკა მაქვს გაკეთებული. რასაკვირველია, უფრო ადვილათ მიპოვის! მე-კი არა, როგორც-კი გაიგებს, რომ ტონი დაიკარგა—იმასაც უსათუოთ მონახავს და ხვალ საღამოს მოიყვანს პეპსისთან, ნაძვის ხეს ორივე ერთათ ენახავთ... ღმერთო! რა ბედნიერი ვიქნები!

ამ ოცნებამ სულ გაართო და დაამშვიდა უპატრონო ბავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიარა რამდენიმე ხანმა. ტაძრის წინ ვიღაც ქალი გაჩერდა, მელსაც ხელში კალათი ეჭირა, იქიდან რაღაცას იღებდა და ჭამდა. უეცრათ მან შენიშნა, რომ ტაძარში შესაველთან მჯდომი პატარა ბავშის დიდი, ლურჯი თვალები ხარბათ მიაშტერდენ მის კალათს.

— ხომ არ გშია, ჩემო პატარა?— თანაგრძნობით ჰკითხა ქალმა.

— ძალიან მშია!—კრძალვით მიუგო ჯენმა.

კეთილმა ქალმა მაშინვე მიაწოდა მას ფუნთრუშა, მოგრძო თბილი პური და დიდი, წითელი ვაშლი, გაიღიმა და ჩაიარა. ჯენი ისევ მოიკრუნჩხა თავის კუთხეში და სიამოვნებით შეუდგა თბილი პურის ჭამას.

ცოტა ხანს შემდეგ მის წინ მერძეევ ქალის პატარა ეტლმა ჩაიქროლა. ბავში მთლათ აკანკალდა სიხარულით, ეგონა, უთუოთ დეიდა მოდი იქნებაო... მაგრამ ეს სხვა მერძეევ გამოდგა... აქ ბავშმა გადაწყვიტა, დეიდა მოდი სულ კარგ ქუჩებზე დადის თავისი ეტლით, უთუოთ აქაც ჩამოივლის და ყველაფერს ის აჯობებს, რომ აქ მოთმინებით მოვუცადოო. ბავში ისევ დაჯდა და ვაშლის ჭამას შეუდგა.

დრო მიდიოდა. თან-და-თან ღამდებოდა. ლედი ჯენი ისევ იმ ადგილას იჯდა და, იმ აზრით გახარებული, რომ მალე პეპსის ნახავს, მოთმინებით მოელოდა დეიდა მოდის. მაგრამ ძალიან დაღამდა, დეიდა მოდი-კი არსად ჩნდა. ბავში წამოდგა და ისევ შეუდგა „კეთილი ბავშების" ქუჩის ძებნას. რამდენსამე ხანს შემდეგ ის დაფიქრებით შეჩერდა ქუჩის პირას... სწორეთ ამ დროს მის წინ ჩაიქროლა მშვენიერმა ეტლმა, რომელშიდაც ქალბატონი ლანიე იჯდა...

პირველათ ატარებდა ლედი ჯენი ღამეს ქუჩაში. ახლა, როდესაც სრულიად დაღამდა, ის მთლათ კანკალებდა შიშისაგან და სიცივისაგან... ერთგან დიდმა ძაღლმა დაუყეფა და კინაღამ მივარდა... ჯენი ერთი დიდი სახლის კიბეზე ავარდა... მაგრამ აქიდან მსახურებმა გამოაგდო...

ლედი ჯენი ისევ ქუჩებში სიარულს შეუდგა... ხან-და-ხან ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერდებოდა განათებულ ფანჯრების წინ და იყურებოდა იქიდან მდიდრულათ მორთულ, მხიარულათ გაჩაღებულ ოთახებში... ყველაზე უფრო ერთმა სახლმა მიიზიდა მისი ყურადღება; სახლი მშვენიერათ იყო მორთული, კედლებზე ლამაზი ნახატები და დიდი სარკეები ეკიდა, ფანჯრებზე—არშიების ფარდები, კუთხეებში ყვავილები და მცენარეები იდგა... სახლიდან დიდების ლაპარაკის, ბავშვების სიცილის, მუსიკის, ცეკვის, სიმღერის, უდარდელი და უზრუნველი მხიარულების ხმა მოისმოდა... ყველა ამან ბავშს მისი მეგობარი, ქალბატონი დიანა მოაგონა... ცრემლები ველარ შეიკავა და მწარეთ აქვითინდა იქვე, ქუჩაზე, მხიარულათ განათებული ფანჯრების წინ... რამდენსამე ხანს შემდეგ ლედი ჯენი მეორე სახლის ფანჯრებს მიადგა, ამ ფანჯრებზე ფარდები აწეული იყო და ბავშმა კარგათ დაინახა ყველაფერი, რაც-კი დიდ, ლამაზ, გაჩაღებულ ზალაში ხდებოდა. როიალზე უკრავდა ლამაზი ქალი, რომელმაც წელან ეტლით ჩაუქროლა გვერდში, შუა ზალაში-კი ორი პატარა, ჯენისხელა ბავში ცეკვავდა, ორივე მშვენიერი და ნაზი, წითელი ლენტებით გაშლილ შავ თმაში და წითელი სარტყლებით თეთრ, გაფარფაშებულ კაბებზე. ლედი ჯენი აღტაცებით მიაშტერდა ბავშებს... ისინი სწორეთ ისე ცეკვავდენ, როგორც ქერარი ჯენს ასწავლიდა, ლამაზი ქალიც სწორეთ იმ ჰანგს უკრავდა, რომელსაც ქერარი ამღერებდა ხოლმე ცეკვის გაკვეთილების დროს... ლედი ჯენს დაავიწყდა ამ დროს ყველა და ყველაფერი, ის გაიტაცა ცეკვამ, გაიტაცა მუსიკამ... მან გადისროლა თავისი შალი, ლამაზათ აიწია იქით-აქეთ თავისი ძველი, დახეული კაბა, და დაიწყო მხიარულათ, კოხტათ ცეკვა შუა ქუჩაში, სიცივეში, სიბნელეში...

ბავშს ხუჭუჭი თმა გაეწეწა, ლოყები აუწითლდა, თვალები ვარსკვლავებივით გაუბრწყინდა და ის ლამაზ პეპელასავით, პატარა, მშვენიერ ფერიასავით დაჰქროდა და დაფრინავდა შუა ქუჩაზე...

უეცრათ მუსიკა შეწყდა. დიდ ზალაში გამდელი შემოვიდა და ბავშები დასაძინებლათ წაიყვანა. ფარდები ჩამოეშვა და ლედი ჯენი ისევ მარტო, სულ მარტო დარჩა ცივ და ბნელ ქუჩაზე... იმან აიღო წელან გადაგდებული შალი, ისევ გაეხვია შიგ და ისევ შეუდგა უცნობ ქუჩებში სიარულს. სულ უფრო და უფრო ციოდა... დაღალულ ბავშს საშინლათ ეძინებოდა, ის ძლივს მიდიოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლივს მიათრევდა გაყინულ ფეხებს, წამდაუწუმ ბორძიკობდა, მზათ იყო პირველ სკამეიკაზე გაწოლილიყო და დაეძინა... მაგრამ მაინც მიდიოდა, ისევ მიდიოდა, სულ მიდიოდა... რაც უნდა ყოფილიყო, მას „კეთილი ბავშვების“ ქუჩისთვის უნდა მიეგნო... ახლა უთუოთ შორს აღარ იქნებოდა... და დაღალული, დაქანცული ბავში დადიოდა და დადიოდა ქუჩებში იმ იმედით, რომ სადმე ან დეიდა მოდის, ან მადელონს შეხვდებოდა, ან და შორიდან, სულ შორიდან პეპსის ფანჯარას და მის პატარა ლამპას მოჰკრაედა თვალს...

ედ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა მ ა ი.

ერთმა ინგლისელმა ჭერცოგმა ინდოეთიდან წამოიღვანა სპილო, რომელსაც სახელათ ერქვა მამაი. მგზავრობის დროს ხომალდზე ყველა მოსამსახურეები სპილოს ძალიან გაუმეგობრდენ, რომელთაც მისი უცნაური საქციელი ართობდა და დროს ატარებინებდა. სადილობის და სამსრობის დრო ყველაზე უკეთესათ ამან იცოდა და თავისი ეჯრის წასაღებათ მუდამ დროზე მივიდოდა ხოლმე.

საღამოობით ხომალდის მოსამსახურეებს ესტუმრებოდა, ისინიც დიდი სისარულით დაუხვდებოდენ ხოლმე. ამათ თავიანთ ოთხ-ფეხა მეგობრისთვის ყოველთვის ან ბური და ან ხილი მზათ ჰქონდათ და სათითაოთ სპილოს გემრიელ ლუკმებს პირში უდებდენ. მამაი სიამოვნებით იტაცებდა ყველაფერს, რასაც აძლევდენ: ხმელ ბურს, ხილს, თამბაქოსაც კი. სულაც არ მოსდიოდა გული, როდესაც მასხრობით პირში ვაქსის კოლოფს ჩაუდებდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ სპილო შევიდა სამზარეულოში სწორეთ იმ დროს, როდესაც ხომალდის მოსამსახურებისთვის წვენს სარშავდენ. მზარეული სადღაც წასულიყო. მამაიმ იდროვა და მთელი ქვაბის წვენი ჰირში ჩაისხა. როდესაც მისი მეგობრები სამზარეულოში შევიდენ ცარიელი ქვაბი დაუხვდათ.

ამაზე მზარეული ძალიან გაბრაზდა: შრომამ ამაოდ ჩაუარა, უნდა თავიდან დაეწყო სადილის გაკეთება. გაჯავრებულმა მზარეულმა სპილოს ქვები სტეორცნა. სპილომ იწყინა და სამაგიერო გადუხადა; მზარეულმა დადგა თუ არა ქვაბი თავის ადგილს, სპილომ თავისი უშველებელი ფეხი ისე მაგრათ ჩაჭერა ქვაბს, რომ სრულებით გაჭეჭყა.

ხომალდი რომ ნაპირს მიუახლოვდა, სპილო გადმოსვეს და საკუთრათ მისთვის გაკეთებულ თავლაში შეიყვანეს.

ღამე მამაი გამოვიდა ჭაერის ჩასაყლაპათ, გასავლელ-გამოსავლელათ. გზაზე სწორეთ ის ჯა ნახა, საიდანაც დღისით მამაის მისმა მომვლელმა კაცმა რამდენიმე ტოლჩა წყალი ამოიღებინა; მამაის კარგათ ახსოვდა ეს ამბავი და რადგანაც არ მოეწონა ამ გვარი მუშაობა, შეეშინდა კვლავაც არ ამომაღებინონ წყალიო, და ტოლჩა ჯაში ჩააგდო. ამ დროს თოკი ისე უხერხულათ მოედო ჯასრაკს, რომ სპილომ საშინლათ იტკინა ფეხი.

ამას იქით სპილო ისე დაშინდა, რომ კაცი ვერა ღონისძიებით ჯასთან ახლოს ვერ გაატარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცენარე და მისი ცხოვრება.

(შემდეგი)

წინა წერილში ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ მცენარე არის ცოცხალი არსება. თუ ჩაუკვირდები, ჩემო მკითხველო, ყველა იმ ცოცხალ არსებებს, რომლებიც გარშემო გახვევია, დაინახავ, რომ ყოველი მათგანის უმთავრესი თვისებანი არიან: საზრდოობა, სუნთქვა, ზრდა, მოძრაობა და გამრავლება. რომელი შინაური, გინდა გარეული, ცხოველიც უნდა აიღო, მას ხუთივე ეს თვისებანი აქვს: არც ერთ ცხოველს უსაზრდოოთ და უსუნთქავათ სიცოცხლე არ შეუძლია, ყოველი ცხოველი იბადება პატარა და შემდეგ თანდათან იზრდება რამოდენიმე ხანს, ყოველი ცხოველი მოძრაობს და ყოველი ცხოველი მრავლდება. რადგანაც მცენარე ცოცხალი არსება არის, ამიტომ მასაც უნდა ჰქონდეს ყველა ეს თვისებანი ე. ი. ისიც უნდა საზრდოობდეს, სუნთქავდეს, იზრდებოდეს, მოძრაობდეს და მრავლდებოდეს. მცენარე რომ იზრდება და მრავლდება, ამას ყოველი თქვენგანი კარგათ ხედავს, მაგრამ მცენარის საზრდოობა და სუნთქვა არც ერთ თქვენგანს არ დაუნახავს და ამიტომ დაუჯერებელ ამბავათ გეჩვენებათ, მაგრამ მალე დაგარწმუნებთ, რომ უსუნთქავათ და უსაზრდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთ მცენარეს გაძლება არ შეუძლია. მცენარეთა უმეტესი წილი სულ ერთ ალაგას ატარებს თავის სიცოცხლეს და ამიტომ ის მოკლებულია იმგვარ მოძრაობას, როგორიც ცხოველებისა და ადამიანის თვისებას შეადგენს, მაგრამ არიან ბევრი მცენარენი, რომლებიც ერთ ალაგას არ არიან მიკრული და მოძრაობენ, თუმცა რასაკვირველია ისე არა, როგორც ცხოველები; ის მცენარეც-კი, რომელსაც ფესვები ღრმათ ჩაუშვია მიწაში და თავის სიცოცხლეს სულ ერთ ალაგას ატარებს, გაჩერებული არ არის და მუდამ მოძრაობაშია: იმისი ფესვები კარგი მეძებრებივით დაეძებენ მიწაში საზრდოს, რის გამო ხან სწორა—სიღრმისაკენ იზრდებიან, ხან განზე გაუხვევენ და ისე დაიწყებენ ზრდას,—ამიტომ არიან მცენარის ფესვები ისე ულსწორ-მასწორონი; ფოთლები ხომ, სრულებით რომ არ იძროდეს სიო, მაინც მოძრაობენ და ხან ერთ მხარეს მიაქცევენ თავის ზურგს, ხან მეორე მხარეს და სხვ.

მცენარესათვის საჭირო საზრდო არის მიწაში, საიდანაც იმას ისვამენ ფესვები და უგზავნიან მცენარის დანარჩენ ნაწილებს; ჰაერს კი ისუნთქავენ მცენარის ფოთლები. ზოგიერთ მცენარეს ე'ითი ფესო აქვს, როგორც მაგალითათ სტაფილოს, ზოგს-კი რამოდენიმე წვრილი ფესოები როგორც მაგალითათ პრასას, ხახეს და სხვ. თვითოეული ფესვი იყოფა რამოდენიმე შტოებათ ანუ წვრილ ფესვებათ, წვრილი ფესვები იყოფიან კიდევ უფრო წვრილ ფესვებათ და ამგვარათ ის ალაგი, სადაც მცენარე ამოსულა, ურიცხვი სხვილი და წვრილი ფესვებით არის დახვრელული,—ზოგი ღრმათ არის წასული, ზოგი უფრო განზე და სხვ.

ფესვები შემოსილი არიან წვრილი და პატარა ბუსუსებით, რაშიდაც მალე დარწმუნდები, ჩემო მკითხველო, თუ მინდორში ან ტყეში ამოაძრობ ჩაფხულობით რომელიმე მცენარეს. აი სწორეთ ამ პატარა ბუსუსების შემწეობით საზრდოობს ყოველი მცენარე, ახლა საკითხავი ის არის, თუ რანაირათ მოულობენ ფესვების ბუსუსები მიწაში საზრდოს? ზოგიერთი საკანი, როგორც მაგალითათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლრუბელი, ბამბა და სხვ. ისვამს წყალს; აგრეთვე ისვამენ წყალს ზოგიერთი ნივთიერებანი. ყოველი მცენარის ბუსუსები შეიცავენ ისეთ ნივთიერებას, რომელიც წყალს ბლომათ ისვამს; ამ ნივთიერების წყალობით ფესვების ბუსუსები ისვამენ მიწიდან წყალს, ნიადაგის წყალი ჯერ ბუსუსებში გადის, შემდეგ ფესვებში და აქედან იფანტება მცენარის სხვა-და-სხვა ნაწილებში; მიწის წყალში-კი გამდნარია ბევრი ისეთი ნივთიერება როგორც მაგალითათ მარილი, რკინა, კირი და სხვ., რაც მცენარის საზრდოს შეადგენს. როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ მცენარის ფესვებში იწყება ურიცხვი წვრილი მილები, რომლებიც ფესვებიდან ფოთლებისაკენ მიდიან; ამ მილების შემწეობით მიწიდან მიღებული საზრდო წყალთან ერთათ ამოდის მცენარის ფოთლებში, აქ წყლის უმეტესი წილი ორთქლათ იქცევა მზის სითბოს წყალობით და ჰაერში გადადის, მასში გამდნარი ნივთიერებანი კი მცენარის სხვა-და-სხვა ნაწილებში რიგდება.

ფოთლების შემწეობით მცენარე სუნთქავს. მიკროსკოპში რომ გასინჯოთ ფოთლის პატარა ნაწილი, დაინახავთ, რომ ფოთოლს მრავალი წვრილი ნასვრეტები აქვს; ამ ნასვრეტების შემწეობით ჰაერი შედის ფოთოლში; ჰაერში არის ერთი ნაწილი, რომელსაც მჟავბადს უწოდებენ და რომელიც ფრიათ საჭიროა როგორც ყოველი ცხოველისა და ადამიანისათვის, ისე მცენარისათვის; უმჟავბადოთ არც მცენარეს, არც რაიმე ცხოველს სიცოცხლე არ შეუძლია. ნასვრეტებში შესული ჰაერიდან მცენარის ფოთლის უჯრედები იტოვებენ სწორეთ ამ მჟავბადს. ჰაერიდან მჟავბადს იზიდავს უჯრედის წბოლი, რომლის შესახებაც წინა წერილში გექონდა ნათქვამი.

მცენარის ფოთლები არიან მწვანე ფერის. სიმწვანის მიზეზი არის ქლოროფილი, როგორც პირველ წერილში ავხსენით. როდესაც მცენარე ბნელ ალაგას რჩება დიდხანს, მაშინ ქლოროფილი ფერს ჰკარგავს და ფოთოლიც ყვითლდება. ქლოროფილს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის საზრდოობისათვის. ჰაერში არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთეგარი ნივთიერება, რომელიც უხილავია ისე, როგორც თვით ჰაერი და რომელსაც ნახშირბადი ეწოდება. ნახშირბადი ქვეყანაზე ძალიან გავრცელებულია,—ის არის ღვინოში, პურში, კართოფილში, ქონში, ზეთში, შაქარში და სხვ. მცენარისათვის ნახშირბადი ერთ უმთავრეს საზრდოს შეადგენს, ამ ნივთიერებას-კი იზიდავს ჰაერიდან ფოთლების ქლოროფილი. უნახშირბადოთ მცენარეს სიცოცხლე არ შეუძლია: ჰაერიდან მიღებული ნახშირბადი უერთდება სხვა-და-სხვა ნივთიერებას, რომელსაც მცენარე მიწიდან იღებს წყალთან ერთათ და ამ შეერთების წყალობით ჩნდება მცენარეში სახამებელი, ზეთი და სხვ. რაც მცენარის აუცილებელ საზრდოს შეადგენს. ამ გვარათ საზრდოობის მხრით მცენარე ა ი რ ი თ განირჩევა ადამიანისაგან: ადამიანი ბუნებაში შოულობს თითქმის დამზადებულ საზრდოს, რომელსაც მხოლოთ მოხარშვა, შეწვა ან გამოცხობა უნდა, რომ უკეთ მოინელოს კუჭმა, მცენარე-კი ამგვარ დამზადებულ საზრდოს მოკლებულია, – ის მხოლოთ მასალას პოულობს მიწაში და ჰაერში საზრდოს დასამზადებლათ; ეს სხვა-და-სხვა მასალა ერთმანერთს უერთდება თვით მცენარეში და ამგვარათ თვით მცენარეშივე მზადდება მისთვის საჭირო საზრდო. ამგვარათ რომ ადამიანი და ყველა დანარჩენი ცხოველი გარედანვე დამზადებულ საზრდოს ღებულობენ, ცხოველის ტანი ინელებს ამ საზრდოს და იკმაყოფილებს თავისი ტანის სხვა-და-სხვა საჭიროებას; მცენარე-კი წარმოადგენს იმგვარ ფაბრიკას, რომელსაც გარედან მხოლოთ მასალა მიუდის საზრდოს დასამზადებლათ, საზრდო-კი თვით მცენარეში მზადდება. უნახშირბადოთ მცენარეს არ შეუძლია არავითარი საზრდოს დამზადება თავისთვის და, რადგანაც ნახშირბადს მას აწვდის ქლოროფილი, აქედან ყველასათვის ადვილი გასაგებია, თუ რამდენათ საჭირო ყოფილა მცენარისათვის ქლოროფილი, რომელიც ფოთლების უჯრედებშია დაგროვილი. ეს უჯრედები რომ გასინჯოთ მიკროსკოპში, შიგ დაინახავთ წვრილ და რგვალ მარცვლებს,—ა ი ესენი არიან ქლოროფილის მარცვლები. ქლოროფილის უმთავრეს ნაწილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგენს რკინა,—ქლოროფილს რომ რკინა არა ჰქონდეს, ის ვერ მიიზიდავს ჰაერიდან ნახშირბადს. ამგვარათ ქლოროფილის მარცვლები მოგვაგონებენ ადამიანის სისხლის წითელ სორსლებს.

ადამიანის და სხვა ცხოველების სისხლში დაცურაავენ პატარა რგვალი სორსლები, რომლებიც წითელი ფერის არიან; ეს სორსლები შეიცავენ რკინას, რომლის შემწეობითაც ფილტვებში ჩასუნთქული ჰაერიდან იზიდავენ ჰაერის ერთ ნაწილს—მჟავბადს; მჟავბადი-კი ადამიანისათვის ფრიად საჭიროა,—უამისოთ მას სიცოცხლე არ შეუძლია. ქლოროფილის მარცვლებიც რკინას შეიცავენ და იმის შემწეობით იზიდავენ ჰაერიდან ნახშირბადს, ურომლისოთაც მცენარეს სიცოცხლე არ შეუძლია. ამ მზგავსებას გარდა ადამიანსა და მცენარეს შორის აი რა მზგავსებაა კიდევ. როდესაც ადამიანის სისხლის წითელ სორსლებში რკინა ცოტავდება, მაშინ ადამიანი სნეულდება: ფერი ეკარგება, სუსტდება, აღარაფრის ხალისი აღარა აქვს, საჭმლის მადა უსუსტდება და სხვ. როდესაც მცენარის ქლოროფილში რკინა გამოილევა ან ცოტავდება, მასაც იგივე ემართება თითქმის, რაც ადამიანს: მცენარეს ფოთლები უყვითლდება, უჭკნდება, თვითონ მცენარე წვრილდება და აღარ იზრდება. ასეთი სნეულების დროს ადამიანმა უნდა სვას რკინის წყალი, წამლათ უნდა იხმაროს რკინა, მაშინ სისხლის სორსლებში რკინა ისევ შეივსება და ადამიანიც რჩება. მცენარის მოსარჩენათაც სწორეთ ამგვარი ზომებია საჭირო,—ის უნდა მორწყოთ რკინის წყლით და იმ ნიადაგში, სადაც ის ხარობს, ჩაყაროთ რკინის ფხვნილი, მაშინ ფოთლები სიყვითლეს ჰკარგავენ, ისევ მწვანდებიან, იშლებიან და მცენარეც ცოცხლდება, ზრდას უმატებს; აქედან ცხადია, რომ ზოგიერთი სნეულებანი მცენარეს და ადამიანს ერთნაირი აქვსთ და წამლობაც-კი ერთნაირი ჭირდებათ!

როდესაც ზაფხული გვალვიანია, მიწის მუშა წმიდა ელიას ევედრება: შენ მოიყვანე წვიმა და შიმშილს გადამარჩინეო. რათ აშინებს ასე ყანის პატრონს გვალვა? იმიტომ რომ გვალვა მოსავალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახდენსო, იტყვი შენ, ჩემო მკითხველო! მერე რანაირათ ახდენს გვალვა მოსავალს? ეს ადვილი ასახსნელია. ჩვენ ვიცით, რომ მცენარე მიწიდან იღებს საზრდოსათვის საჭირო მასალას. რადგანაც მცენარეთა უმეტესი წილი სულ ერთსა და იმავე ალაგას ატარებს თავის სიცოცხლეს და ერთი და იმავე ნიადაგიდან იღებს საზრდოს, აქედან ცხადია, რომ ჩვენი დედამიწა ძალიან მდიდარია სხვა-და-სხვა ნივთიერებით, რომლებითაც მცენარე საზრდოობს, მაგრამ ეს ნივთიერებანი უსათუოთ წყალში უნდა იყონ გამდნარი, უამისოთ მცენარის ფესვებს არ შეუძლიათ მათი შესრუტვა. ამგვარათ როდესაც წვიმა მოდის, წვიმის წყალი გაუჯდება ნიადაგს, ადნობს მასში სხვა-და-სხვა ნივთიერებას და ასაზრდოებს ამით მცენარეს. როდესაც გვალვიანი ზაფხულია, მაშინ ნიადაგი გამომშრალია, მასში სხვა-და-სხვა ნივთიერებანი გაუმდნარი რჩება და ამიტომ მცენარის ფესვებსაც მათი შესრუტვა არ შეუძლიათ. ამას გარდა წყალს სხვა დანიშნულებაცა აქვს მცენარისათვის: მცენარე ჰაერს გარდა წყლიდანაც იღებს მჟავბადს, ფესვებიდან სხვა-და-სხვა ნივთიერებანი მხოლოთ წყალს მიაქვს მილებით ფოთლებთან და აქედან მცენარის სხვა ნაწილებთან, წყალი აგრეთვე საჭიროა მცენარის უჯრედების წბოლისათვის და სხვ. ყოველივე ნათქვამიდან გამოირკვა, რომ წყალი ადნობს მიწაში სხვა-და-სხვა ნივთიერებას, გადააქვს ისინი ფესვებში და აქედან მიაქვს მცენარის სხვა-და-სხვა ნაწილებთან. აქედან-კი ცხადია, რომ მცენარისათვის წყალს იმგვარივე დანიშნულება აქვს, რაც ადამიანისათვის და სხვა ცხოველებისათვის სისხლს; როგორც წყალს მიაქვს მილებით საზრდო მცენარის სხვა-და-სხვა ნაწილებთან, ისე სისხლს მიაქვს ძარღვებით საზრდო ცხოველის სხვა-და-სხვა ნაწილებთან.

ი. გომართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართოგი.

ბარბაზში დიდ-ძალი საზოგადოებაა. შვიდი წლის ბავში ქაქანით შემოდის დიასახლისთან და ეუბნება: «დედა, დედა, აი იმ კაცმა გამადიდებელი შუშა მაჩუქა. რწყილი ხომ არა გუავს რომ გავშინჯოვო?»

ერთმა ქალმა უთხრა ემაწვილს, რომელსაც ხელში ეჭირა ბარტყებიანი ბუდე ეჭირა: არა გრცხვენია? რატომ არ ფიქრობ იმაზე, თუ რა ტანჯვას აყენებ საბრალო მაგათ დედას?

ემაწვილმა უპასუხა: ის დიდი ხანია ტანჯვას ვეღარა გრძნობს, რადგანაც თქვენ შლაპაზეა მიკრულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელმა უთხრა მოსწავლეს:

— თამრო! დამისახელე ბუნების ოთხი მოვლენა?

თამრო. წყალი, დედა-მიწა, ჰაერი და

მასწავლებელი. მეოთხე?

თამრო. დამავიწყდა

მასწავლებელი. დაფიქრდი ცოტა! რა არი უმეტესი უბედურების მიზეზი?

თამრო. (მხიარულათ) რკინის გზის მატარებელი.

ერთ დედას ორი შვილი ჰყავდა და ორივე, რასაკვირველია, ერთნაირათ უყვარდა. ერთ დღეს უფროსი ეუბნება დედას: მე ვიცი რომ შენ ძრიელ გიყვარვარ, მაგრამ იმდენათ ძრიელ არა, როგორც მე შენ.—შენ აგრე რათ გგონია? დაეკითხა დედა.—«იმიტომ ძიუგო შვილმა, რომ შენ გყავს ორი შვილი და მე-კი მარტო ერთი დედა».

ეროვნული ბიბლიოთეკა

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

იმისთანა ალაგს ვდგევარ,
რომ კაცის ხელს ვერ ავცდები,
გაიელის თუ გამოიელის,
ამხანაგივით ავყევები.
გავაცილ-გამოვაცილებ,
ისევ ბინაზე დავდგები.

—

ფეხზე ვდგევარ მე ამაყათ,
არე-მარეს ვუცქერ ლხენით,
ყველასთვის ერთი გული მაქვს,
არვის ვესალმები წყენით,
ვინც მოწიწებით მეწვევა,
მას ავავსებ სურნელებით
და ვინც მტრულათ დამეცემა
მას მე მოვიგერებ კბენით.

შარადები.

(წარმოდგენილი მისგანვე).

ორის სიტყვისგან შესდგება
გამოსაცნობი შარადა,
პირველსა იმერეთშია
ფულს ეძახიან მარადა.
მეორე იქავ ქალაქი
გაწყობილია ბარადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრთელი — ყოფილა ხელმწიფე
ისრაილთ გასამწარათა.

—

პირველი არის სახელი
შეშათ ნაქები ხისაო.
მეორეს ყველა ვეძახით
ჩვენს ან სხვის ვაჟიშვილსაო;
მთელი აზნაურთ გვარია,
სიმრავლით განთქმულისაო
კახეთში და იმერეთში
უხვობით ნაქებისაო.

№ XI გამოცანებისა.

ისტორიული აკროსტიხი: საქართველო.

გამოცანები: სეტყვა, წისქვილი, მტკვარი.

უჯრების ამოცანა: ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგეხდება.

რებუსი: თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

1901 წ. ჟურნალ „ჯეჯილისა“

ლექსები	№	გვერდი
ჩიტი ბზეწვია, — შიო მღვიმელისა	I	3
მზის მოლოდინში, — დუტუ-მეგრელისა	I	25
ძველი მოურავი, — გ. ბოკერიასი	II	10
სამი არაყი და გონება, — ბაჩანასი	II	41
შედარება, — აკაკისა	III	3
აღდგომა, — შიო მღვიმელისა	III	52
ქრისტე აღდგა, — ბაჩანასი	IV	3
გაზაფხული და საპყრობილე, — დუტუ-მეგრელისა	IV	28
ორი შვილი იმერული ლეგენდა, — ირ. წერეთლისა	IV	50
ფუტკარი, — დ. თომაშვილისა	V	9
ყმაწვილის სიმღერა, — დ. თომაშვილისა	VI	3
ღრუბელი, — ი. ბელიაშვილისა	VII—VIII	3
მსუნაგი, — მ. ლელაშვილისა	VII—VIII	28
ყრმის საფლავზე, — დ. თომაშვილისა	VII—VIII	60
მებაღე და ღორი, — დ. თომაშვილისა	IX	3
მკურნალი, — პელაშვილისა	IX	48

პატარა ქართველი,—დუტუ მეგრელისა . . . . X . . . 3
მძინარე ლომი,—დ. თომაშვილისა . . . . . X . . . 18
ყმაწვილები ჩიტი ტ (პლესჩეევიდან), .. შ. მღვიმელისა XI . . . 6
ვირი ლექსი,—აკაკისა . . . . . XII . . . 4

მოთხრობები და წვრილი ამბები:	№	გვერდი
არჩილ—პავლე—ვლადიმერი,—ელ. წერეთლისა .	I	5
გიორგის საფლავზე,—ეკ. გაბაშვილისა	I	13
— — — —	II	43
ღმერთს ყველგან ნახავთ (თარგმანი),—ან. წერეთლისა	I	27
ჩვენი მოძმეა (თარგმანი),—ან. წერეთლისა . .	I	50
დათვი ამბავი,—თ. რაზიკაშვილისა	V	3
მამაცი შაშვი (გადმოკეთებული რუსულიდან),—კახ-იმერლისა	II	9
ლედი ჯენ მოთხრობა ჯემისონისა (თარგმანი),—ელ. წერეთლისა, ...	II	13
— — — — .	III	17
— — — — .	IV	31
— — — — .	V	14
— — — — .	VI	31
— — — —	VII—VIII	31
— — — — .	IX	49
— — — — .	X	31
— — — — .	XI	23
— — — — .	XII	24
მადლობის გადახდა (თარგმანი),—ს. ციციშვილისა	II	34
შაშვი,—ბაჩანასი	III	5

ეროვნული ბიბლიოთეკა

	№	გვერდი
მხერხავი ლექსო,—მარიამ დემურიასი	III	. . . 8
სად დაიკარგა საბედას სათითური (რუსულიდან),— კახ-იმერლისა	III	. . . 15
ობოლი. მოთხრობა,—დ. თომაშვილისა	IV	. . . 9
პატარა მათხოვარი (თარგმანი),—ნ. ყიფიანისა .	IV	. . . 23
მოსწრებული პასუხი (თარგმანი), — ბეს. ვაშაძისა	IV	. . . 48
ბურჯი,—რეზიკოსი	V	. . . 3
მეგობარი ძაღლი,—კახ-იმერლისა	V	. . . 7
მეფის ასულის საჩუქარი (რუსულიდან),—ბავშვ-ბის მეგობრისა	V	. . . 10
დავიწყებული დედოფალა (რუსულიდან),—ბეს. ვაშაძისა	V	. . . 25
ვნახოთ ის რას მეტყვის,—დათიკო ფალავასი . .	V	. . . 27
ქარი და მზე (რუსულიდან) კატო მიქელაძისა .	V	. . . 51
დასჯილი უსამართლობა,—კუკუნია ტატიშვილისა	VI	. . . 4
ყვავილების გვირგვინი (თარგმანი),—ს. ციციშვილისა	VI	. . . 16
დიტოს ძველი ქუდი ვინ მოიხმარა (თარგმანი),— კახ-იმერლისა	VI	. . . 23
„ჩიტუნია“ (თარგმანი),—ნ. ჯანაშიასი . .	VII—VIII	. . . 5
უბედური მდიდარი (თარგმანი),—ბ. ვაშაძისა	VII—VIII	. . . 8
ჯამბაზი (თარგმანი),—ს. ციციშვილისა .	VII—VIII	. . . 61
მეხი. ამბავი,—კუკუნია ტატიშვილისა	IX	. . . 5
ყადის სამართალი (თარგმანი),—ან. წერეთლისა .	IX	. . . 31
უკანასკნელი გაკვეთილი. ალფონს დოდეი (თარგ-მანი),—მ. დემურიასი	IX	. . . 42
მამულის სიყვარული (თარგმანი),—ტ. კ—სა . .	XI	. . . 8
მეგობარი. ამბავი.—ქეთო ზარაფაშვილისა . . .	XI	. . . 47
ალალ-მართლობა (თარგმანი)	XI	. . . 57
ორი მხატვარი (თარგმანი)	XI	. . . 58

ეროვნული ბიბლიოთეკა

	№	გვერდი
სამაგიერო ამბავი,—თ. რაზიკაშვილისა	XII	. . . 8
შერყეული თომა, ამბავი,—ან. წერეთლისა . .	XII	. . . 17

ცხოველთა ცხოვრებიდან:	№	გვერდი
მტრედის გამჭრიახობა (გადმოკეთებული),—ტასოსაგან	II	. . . 65
წერო და ცხრა-ფეხა (თარგმანი),—ბეს. ეაშაძისა	III	. . . 30
ორი ჩიტი. პაპაზიანისა (თარგმანი),—ქ. ყ—სა . .	III	. . . 53
ძაღლი და კატა (თარგმანი),—კახ. იმერლისა . .	IV	. . . 29
დედა ფუტკრის ნაამბობი,—აპალონ წულაძისა .	V	. . . 30
— — — — — .	VI	. . . 9
ძაღლი და ლომი (თარგმანი),—ტასოსი	V	. . —49
სპილო და ვეფხვი (რუსულიდან),—ს. ციციშვილისა	VI	. . . 25
მოხერხებული მელა (თარგ.),—კახ-იმერლისა	VII—VIII	. . . 30
კვერნა,—კახ. იმერლისა	IX	. . . 8
ძაღლების ჭკუა-გონება (რუსულიდან),—ტასოსი .	X	. . . 5
მამაცი ბელურები,—მისივე	X	. . . 43
მწუხარე კურდღლები	XI	. . . 3
ორი კოლო (რუსულიდან)	XI	. . . 5
კრუხი და გუგული (რუსულიდან)	XI	. . . 13
თუთიყუში და ბელურა (თარგმანი)	XI	. . . 36
მტრედის და კატის მეგობრობა	XII	. . . 22
მამაი (რუსულიდან)	XII	. . . 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია:

	№	გვერდი
ღვაწლი „ივერიის“ მონასტრისა ბ თორნიკე ერისთვისა,—ი. გოგებაშვილისა	I	43
თამარ მეფის აღზრდა,—ი. გოგებაშვილისა	I	56
ფილემონი და ბაუცისი (ოვიდიუსიდან),—ა. ყუმისთაველისა	I	58
ბეკიჩა და მისი ჯორი,—გ. წყალტუბელისა	II	38
სპარსეთის მეფე კამბიზი,—ა. ყუმისთაველისა	II	61
მეფე დიმიტრი თავდადებული და გიორგი ბრწყინვალე,—ი. გოგებაშვილისა	III	42
ჰეროდოტის თქმულება კიროსის დაბადების შესახებ,—ა. ყუმისთაველისა	III	46
ლიკიის მკვიდრნი (ოვიდიუსიდან),—ა. ყუმისთაველისა	IV	25
ორფეი და ევრიდიკე (ოვიდიუსიდან),—მისივე	V	53
მეფე გლეხთა განმათავისუფლებელი,—გ. წყალტუბელისა	X	46
წარღვნა (ოვიდიუსიდან),—ა. ყუმისთაველისა	XII	13

საღმრთო ისტორიიდან:

	№	გვერდი
ნათლის ღება,—გ. წყალტუბელისა	I	40
წმიდა ქვეყანა,—ი. გოგებაშვილისა	I	48
წმიდა გუნდი,—ი. გოგებაშვილისა	V	55

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ი ო გ რ ა ფ ი ა:	№	გვერდი
ვინ იყო რაფიელ ერისთავი,—პეტ. მირიანაშვილისა	III	36
თომა ედვარდის ყმაწვილობა (თარგმანი),—ან. წერეთლისა	VII—VIII,—IX	10,—9

ბუნების მეცნიერებიდან:	№	გვერდი
ქვის საუკუნის ბავშები (თარგმანი),—ეკ. მ—სა	V	39
— — — — მისივე	VI	51
— — — — მისივე	VII—VIII	81
— — — — მისივე	X	49
— — — — მისივე	XI	39
ბაქტერიები ანუ ბაცილები,—ივ. გომართლისა	VI	46
ბაქტერიები ანუ ბაცილები,—ივ. გომართლისა	VII—VIII	18
უწინდელი ცხოველები,—ივ. გომართლისა	IX	24
უწინდელი ცხოველები,—ივ. გომართლისა	X	22
მცენარე და მისი ცხოვრება,—ივ. გომართლისა	XI	16
მცენარე და მისი ცხოვრება,—ივ. გომართლისა	XII	41

ზღაპრები და ლეგენდა:	№	გვერდი
თაედები,—ან. წერეთლისა	X	9

გ ა ს ა რ თ ო ბ ი:	№	გვერდი
სხვა-და-სხვა გასართობი	I	61
— —	II	68
— —	III	60
— —	V	58

ისტორიული ამოცანა. . . . . I . . . 64
წინა-სიტყვაობა, — აკაკისა . . . . . XII . . . 3
წერილმანი: ხალხური ლექსები, აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ჩქარა-გამოსათქმელი, შარადა, არითმეტიკული ამოცანები, რებუსი და სხვა—ყველა ნომრის ბოლოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თბილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის საერო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Съ разѣшенія главнаго управленія по дѣламъ печати,

ПОНИЖЕНА ПОДПИСНАЯ ПЛАТА

НА

ежедневную литер. и полит. газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

Какъ для городскихъ, такъ и для иногородныхъ подписчиковъ подписная плата: за годъ—7 р., за полгода—4 р., 3 мѣс—1 р. 50 к., 2 мѣс.—1 р.; отдѣльный № въ Тифлисѣ—3 коп., внѣ Тифлиса—5 коп.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня 3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: год. плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся прежнія.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Изд. К. Тумановъ. Ред. Г. Тумановъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ დღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა 1902 წელს

გადიდებული.

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50 „	5 „	5 „ 50 „
10 „	8 „ 75 „	4 „	4 „ 75 „
9 „	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 „	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „	1 „	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელი წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მ.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მან., ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

შენიშვნა წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანოს ამგვარათ: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზედ თითო-ჯერ სტრიქონი — 5 კაპ., პირველზედ — 10 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს შ ი,

„ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქუჩ., თავად-აზნაურობის სახლი.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ Редакція „ИВЕРІА“.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1902 წლისათვის

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეათე)

გამოვა **1902** წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახმდე.

წლის განმავლობაში „კვალი“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებელი ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ.. თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილათ შემოიტანონ:

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადიების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვანსლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჭანეშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში: ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭიჭინაძესთან და ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან. დაბახონში—სახალხო სამკითხველოში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით. .	11 მ.—კ.
6 თვით	4 „	6 თვით. .	6 „ 50 „
1 „	75 „	1 „ . .	1 „ 10 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე 4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერ მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ეანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს **4** მან. თფილისს გარეშე გაგზავნით **5** მან. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში**—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეკამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს **4** მან. თფილისს გარეშე გაგზავნით **5** მან. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში**—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი �н. თუმ.-წერეთელი სა.